პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 297 (10691) | კვირა, 23 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

შეუნელებელი ყურადღება მოსწავლეთა აღზრდას

ჩვენი საბჭოთა სკოლა უდიდეს როლს ასრულებს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში. სკოლა ერთ-ერთი პასუხსაგები ფრონტია იდეოლოგიურ მუშაობაში. მისი მოვალეობაა აღზარდოს კულტურული, ყოველმხრივ განათლებული, დისციპლინიანი ახალგაზრდობა, რომელიც მზად იქნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომუნიზმის მშენებლობის საყოველთაო-სახალხო საქმეში.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი სკოლები უფრო მეტი მონდომებით მუშაობენ მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის მთელი საქმის გარდაქმნისათვის პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ამ მნიშვნელოვან მუშაობაში რესპუბლიკის სკოლებმა გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. რამდენადმე გაუმჯობესდა დისციპლინა მოსწავლეთა შორის, ამაღლდა მათი პასუხისმგებლობა კლასის, სკოლის ღირსებისათვის, იგრძნობა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ერთგვარი გამოცოცხლება.

დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მონაწილეობას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. მიმდინარე წლის ზაფხულში ბევრი მოსწავლე ეხმარებოდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოსავლის აღებაში და იღებდა შრომითს წრთობას. უფროსი კლასების მოსწავლეები საკუთარი მაგალითით დარწმუნდნენ, თუ რა დიდმნიშვნელოვანია შემოქმედებითი შრომა ადამიანის ცხოვრებაში. და რამდენი ჭაბუკი და ქალიშვილი სიმწიფის ატესტატით ხელში გაეშურა ქარხნებისა და ფაბრიკებისაკენ, მშენებლობებისა და შახტებისაკენ, საკოლმეურნეო წარმოებისაკენ, რათა პირადი შრომით თავისი წვლილი შეიტანოს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების საქმეში!

მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის მოსწავლე ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში. მთელ რიგ სკოლებში ეს მუშაობა წარმოებს არასათანადო აქტიურობით, ყოველთვის როდია გამოყენებული ყველა შესაძლებლობა, რათა ჩვენს ბავშვებს გამოვუმუშაოთ საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობები და ჩავუნერგოთ სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნება, სოციალისტური შრომისადმი პატივისცემა და სიყვარული. არის მოსწავლეთა მიერ დისციპლინის უხეში დარღვევის, ხულიგნობის და სხვა ამორალური ქცევის შემთხვევები. აღმზრდელობითი მუშაობა არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება თბილისის 1-ლ, 47-ე, 42-ე და მთელ რიგ სხვა სკოლებში.

მოსწავლეებში სუსტად ინერგება შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების გრძნობა. ამის შედეგად საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი არასწორად ეკიდება შრომას, სამარცხვინოდ თვლის წარმოებაში მუშაობას. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბევრი კურსდამთავრებული არსად არ მუშაობს და მშობლების კმაყოფაზეა.

ამ უკანასკნელ ხანს განხორციელდა ქმედითი ღონისძიებანი სკოლაში მოსწავლეთა გადატვირთვის წინააღმდეგ, რათა მათ მეტი დრო ჰქონდეთ გონივრული დასვენებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის. საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ მოსწავლეთა დასვენების ორგანიზაციის საკითხებზე, გავაუმჯობესოთ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. ამ საქმეში კი ცოტა როდია ნაკლი. ხშირად სასკოლო საღამოები ეწყობა უინტერესოდ, მათი მომზადებისას არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა მოთხოვნილებებს.

აუცილებელია სკოლებში გაუმჯობესდეს კომკავშირული და პიონერული მუშაობა. პიონერულ მუშაობაში ჯერ კიდევ ვხვდებით ფორმალიზმს. არის შემთხვევები, როცა პიონერული შეკრებები ჰგავს მოზრდილთა კრებებს, ხდება ისიც, რომ ბავშვებს აჩვევენ „შპარგალკებით“ გამოსვლას. საჭიროა გადაჭრით დავგმოთ ასეთი პრაქტიკა.

სრულიად არასწორია, როცა სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებს გადააქვთ საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ფორმები. ბევრ სკოლაში გონივრულად არ იყენებენ კომკავშირული მუშაობის მრავალფეროვან ფორმებს. სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაკთა ნაწილი განზე დგას კომკავშირული საქმიანობისაგან.

სასკოლო პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან დაეხმარონ კომკავშირულ ორგანიზაციებს მუშაობის გამოცოცხლებაში, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ ამ ორგანიზაციების საქმიანობა ახლებურად წარიმართოს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა შორის პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

წელს რესპუბლიკაში პირველად შეიქმნა სკოლა-ინტერნატები კოჯორში, ბეთანიაში, გორდში, თეთრწყაროსა და განთიადში. ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებს დიდი პერსპექტივა აქვთ. სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელებსა და პედაგოგებს მართებთ წარმატებით დაეუფლონ მუშაობის ახალ მეთოდებს, შექმნან მეგობრული, მჭიდროდ შეკავშირებული მოსწავლეთა კოლექტივები, სწორად მოაწყონ ბავშვთა სწავლება და დასვენება, ყველა პირობა შექმნან მათი კულტურული და ფიზიკური განვითარებისათვის.

ბავშვთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეში სკოლებს სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ სახალხო განათლების ორგანოებმა. საჭიროა ამ საქმეში საზოგადოებრიობის დიდი და ყოველდღიური მონაწილეობაც. აუცილებელია მივაღწიოთ სკოლისა და ოჯახის კავშირის განმტკიცებას. პრაქტიკაში ფართოდ უნდა დავნერგოთ საწარმოთა პარტიულ და პროფკავშირულ კრებებზე იმ საკითხების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ბავშვთა აღზრდასთან. სასარგებლოა აგრეთვე მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმა სასპორტო ორგანიზაციების და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა შორის მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის იდეების დანერგვას. ამ მიზნით სკოლებში სისტემატურად უნდა ეწყობოდეს პიონერული შეკრებები, მეგობრობის საღამოები, შეხვედრები მოძმე ხალხთა თანატოლ წარმომადგენლებთან, მოგზაურობა მშობლიურ მხარესა თუ მოკავშირე რესპუბლიკებში. ყოველივე ეს დიდად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდას.

სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობით სისტემატურად უნდა დაინტერესდნენ პარტიისა და კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები. აუცილებელია ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობა, ყოველი ღონისძიებით დავნერგოთ და განვამტკიცოთ ახალგაზრდობაში სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ლენინური იდეები, აღვზარდოთ ის სოციალისტური სამშობლოსათვის უსაზღვრო ერთგულების, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

მებრძმედეებმა და მემარტენეებმა წლიური გეგმა შეასრულეს

რუსთავი. (საკ. კორ.). ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის ყველა უბანს ელვის სისწრაფით მოედო სახიხარული ცნობა, რომ 21 დეკემბერს საღამოს 7 საათზე ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს კოლექტივმა მაღალნაყოფიერი, თავდადებული შრომით ვადამდე შეასრულა თუჯის გამოშვების წლიური დავალება.

— მებრძმედეებო! გილოცავთ საწარმოო გამარჯვებას! — დაურეკეს მემარტენეებმა და თან აცნობეს, რომ 22 დეკემბერს დილით მათი საამქროს კოლექტივმაც გაანაღდა წლიური გეგმა.

იმავე დღეს საბრძმედე საამქროში გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელზეც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მებრძმედეებს მეტალურგიული ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცათ. საამქროს კოლექტივმა იკისრა თუჯის გამოშვების ხუთწლედის დავალება ვადაზე ადრე შეასრულოს.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებები აიღო აგრეთვე მარტენის საამქროს კოლექტივმა. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდა ახალგაზრდა სპეციალისტის ტ. გველესიანის ცვლა. საამქროს მეფოლადეებმა შარშანდელთან შედარებით წელს ჩქაროსნულ დნობათა რაოდენობა 10 პროცენტით გაადიდეს, ხოლო ღუმელის კვადრატული მეტრი ჭვედიდან ფოლადის გამოსავლიანობა — ერთი ტონით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტსა და სამხარეო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ხაბაროვსკის მხარის თევზის მრეწველობის მუშაკებმა, კოლმეურნე მებადურებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს თევზის ჭერის გასადიდებლად და მზა პროდუქციის გამოსაშვებად, რითაც თავიანთი წვლილი შეიტანეს სასურსათო საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში. 1956 წლის გეგმა ვადამდე შესრულდა. 15 დეკემბრისათვის დაჭერილია 719 ათასი ცენტნერი თევზი, ანუ 128 ათასი ცენტნერით მეტი, ვიდრე 1955 წლის შესაბამის პერიოდში. საერთო პროდუქციის გეგმა ნატურითაც შესრულებულია 108,8 პროცენტით. გადიდდა თევზის კონსერვების წარმოება. სულ გამომუშავებულია 501 მილიონი მანეთის თევზის პროდუქცია, ანუ 14,1 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

თევზის ჭერის გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობა ის იყო, რომ ხაბაროვსკის მხარის თევზის მრეწველობის საწარმოები და თევზმჭერი კოლმეურნეობები მტკიცედ ეუფლებიან ახალ ტექნიკას და უკეთ აწყობენ შრომას თევზმჭერ ბრიგადებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ ხაბაროვსკის მხარის თევზის მრეწველობისა და თევზმჭერი კოლმეურნეობების საწარმოებისა და ორგანიზაციების მებადურებს, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს მიღწეულ წარმატებებს და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი კვლავაც ბეჯითად იმუშავებენ, რათა შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები თევზჭერისა და მაღალხარისხოვანი თევზის პროდუქციის გამოშვების გადიდების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კამჩატკის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ კამჩატკის ოლქის თევზის მრეწველობის მუშაკებს, კოლმეურნე მებადურებს, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს თევზის ჭერის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებას. კამჩატკის მებადურებმა 1956 წელს დაიჭირეს 1.842 ათასი ცენტნერი თევზი, 108,4 პროცენტით შეასრულეს წლიური გეგმა. გამომუშავებულია 71 მილიონი ქილა მაღალხარისხოვანი კონსერვი, ანუ 2,6 მილიონი ქილით მეტი, ვიდრე 1955 წელს.

თევზის ჭერის გეგმის წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობა ის იყო, რომ კამჩატკის ოლქის თევზის მრეწველობის საწარმოები და თევზმჭერი კოლმეურნეობები სწორად მოიქცნენ, რომ დაიწყეს გაშლილ ზღვაში თევზის ჭერის ათვისება, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა ჭერა და გააზარდა რეწვის სეზონი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მებადურებმა აითვისეს ახალი ტექნიკა, ეუფლებიან გემთმშენებლობისა და ხომალდების მექანიზმების მართვის ხელოვნებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ იმ მუშაობას, რომელიც გასწიეს კამჩატკის ოლქის სახელმწიფო თევზჭერის სარეწი გემების ეკიპაჟებმა, კოლმეურნე მებადურებმა, თევზის მრეწველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა, და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი კვლავაც ბეჯითად იმუშავებენ, რათა შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები თევზჭერისა და მაღალხარისხოვანი თევზის პროდუქციის გამოშვების გადიდების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახალინის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სახალინის ოლქის თევზის მრეწველობის მუშაკებმა, კოლმეურნე მებადურებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს თევზის ჭერის გასადიდებლად და მზა პროდუქციის გამოსაშვებად. 1956 წლის გეგმა შესრულებულია ვადამდე, 15 დეკემბრისათვის დაჭერილია 1.481 ათასი ცენტნერი თევზი, ანუ 226 ათასი ცენტნერით მეტი, ვიდრე 1955 წლის შესაბამის პერიოდში. გადაჭარბებით შესრულდა თევზის კონსერვების გამომუშავების გეგმა, ჩვენმა ქვეყანამ მიიღო 33 მილიონ ქილაზე მეტი მაღალხარისხოვანი კონსერვი, ანუ 7,6 მილიონი ქილით მეტი, ვიდრე 1955 წელს. სულ გამომუშავებულია 1.262 მილიონი მანეთის თევზის პროდუქცია, ანუ 26,5 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

თევზჭერის გადიდების დიდმნიშვნელოვანი პირობა ის იყო, რომ სახალინის ოლქის თევზის მრეწველობის საწარმოები და თევზმჭერი კოლმეურნეობები წარმატებით ეუფლებიან თევზის ჭერას გაშლილ ზღვაში, თევზის რეწვის ბაზები აქვთ თევზის დიდმარაგიანი და მაღალი კონცენტრაციის რაიონებში, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა თევზის ჭერა, შეამცირა რეწვის სეზონურობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ სახალინის ოლქის თევზის მრეწველობისა და თევზმჭერი კოლმეურნეობების საწარმოებისა და ორგანიზაციების მებადურებს, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს მიღწეულ წარმატებებს და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი კვლავაც უფრო ბეჯითად იმუშავებენ, რათა შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები თევზჭერის გადიდების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტსა და სამხარეო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ზღვისპირეთის მხარის თევზის მრეწველობის მუშაკებმა, კოლმეურნე მებადურებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს თევზის ჭერის გასადიდებლად და მზა პროდუქციის გამოსაშვებად და ამით სერიოზული წვლილი შეიტანეს სასურსათო საქონლით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში. 1956 წლის გეგმა შესრულებულია ვადამდე. 15 დეკემბრისათვის დაჭერილია 2.504 ათასი ცენტნერი თევზი, ანუ 414 ათასი ცენტნერით მეტი, ვიდრე 1955 წლის შესაბამის პერიოდში. გადაჭარბებით შესრულდა თევზისა და კიბორჩხალის კონსერვების გამომუშავების გეგმა. ჩვენმა ქვეყანამ მიიღო 73 მილიონ ქილაზე მეტი მაღალხარისხოვანი კონსერვი, ანუ 11 მილიონი ქილით მეტი, ვიდრე 1955 წელს. სულ გამომუშავებულია 1.460 მილიონი მანეთის თევზის პროდუქცია, ანუ 27,4 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

თევზის ჭერის გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობა ის იყო, რომ ზღვისპირეთის მხარის თევზის მრეწველობის საწარმოები და თევზმჭერი კოლმეურნეობები წარმატებით ეუფლებიან გაშლილ ზღვაში თევზჭერას, თევზის რეწვის ბაზები აქვთ თევზის დიდმარაგიანი და მაღალი კონცენტრაციის რაიონებში, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა თევზის ჭერა, შეამცირა რეწვის სეზონურობა. დიდი მნიშვნელობა აქვს თევზის რეწვის, ვეშაპთსანადირო და კიბორჩხალჭერის ფლოტის ექსპლოატაციის გაუმჯობესებას, იმას, რომ მებადურები ეუფლებიან რადიონავიგაციისა და ჰიდროაკუსტიკური აპარატურის ახალ ტექნიკას, გემთმშენებლობისა და ხომალდების მექანიზმების მართვის ხელოვნებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ ზღვისპირეთის მხარის სახელმწიფო თევზჭერის სარეწავი გემების ეკიპაჟებს, კოლმეურნე მებადურებს, თევზის მრეწველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს მიღწეულ წარმატებებს და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი კვლავაც ბეჯითად იმუშავებენ, რათა შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები თევზჭერის და მაღალხარისხოვანი თევზის პროდუქციის გამოშვების გადიდების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მოსკოვის ოლქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1956 წლის სახელმწიფო გეგმა

მოსკოვის ოლქის სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტის მუშაკებმა ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე ვადამდე, 21 დეკემბერს დაამთავრეს მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს ნაწარმთა 1956 წლის სახელმწიფო გეგმა.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვება შარშანდელთან შედარებით გადიდდა თითქმის 9 პროცენტით, შესრულებულია დავალება შრომის ნაყოფიერების დარგში, პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირებით მიღებულია 300 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია.

მძიმე მრეწველობის საწარმოებში შარშანდელზე გაცილებით უფრო მეტი ამოღებულია ქვანახშირი, გამომუშავებულია მეტი ელექტროენერგია, გადიდდა ფოლადის, ნაგლინის, ლითონდამმუშავებელი ჩარხების, ავტომობილებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მინერალური სასუქისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოება.

გრძელდებოდა წარმოების შემდგომი ზრდა და ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გადიდება. გადიდდა საკერავი საყოფაცხოვრებო მანქანების, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, წინდის ნაწარმის, ტელევიზორების, ფოტოაპარატებისა და სხვა კულტურული და საოჯახო საგნების გამოშვება.

გადიდდა რკინიგზის, წყლისა და საავტომობილო ტრანსპორტის, ტვირთზიდვის მოცულობა. მოსკოვის კვანძის რკინიგზელებმა მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით დატვირთეს 40 ათასზე მეტი ვაგონი. მძიმე წონის მატარებლებით ნორმის დამატებით გადაზიდულია 40 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი. შემჭიდროებული დატვირთვის ჯზით განთავისუფლებულია 60 ათასი სატვირთო ვაგონი. შემდგომ განვითარდა ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვა საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით, რომლის მოცულობა წინა წელთან შედარებით ერთისამად გაიდიდა.

წარმოების ზრდა მრეწველობაში ხორციელდებოდა ახალი ტექნიკის შემდგომი განვითარებისა და წარმოების მოწინავე მეთოდების გამოყენების ბაზაზე.

მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში ახალი ძალით იჩინა თავი მშრომელთა შემოქმედებითმა ინიციატივამ. აღიზარდა წარმოების ათასობით ნოვატორი და მოწინავე, რომლებიც მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს იძლევიან.

ამავე დროს მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი საწარმო ვერ ასრულებს მთლიანი პროდუქციის საწარმოო გეგმებს, ვერ ართმევს თავს დავალებას ნაწარმთა ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მხრივ. მთელ რიგ ქარხნებსა და ფაბრიკებში არ არის აღმოფხვრილი ნაკლოვანებანი შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, დიდია მოწყობილობის მოცდენა, სუსტად წარმოებს ბრძოლა შინაგანი რეზერვების გამოყენებისათვის.

სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტის კოლექტივები იღებენ საჭირო ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, იბრძვიან თავიანთ საწარმოთა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები, რომლებიც გამსჭვალული არიან მხურვალე სურვილით შეიტანონ თავიანთი ახალი წვლილი მეექვსე ხუთწლედის ვადამდე შესრულების საქმეში, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეულად შეასრულონ სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის ამოცანები, რომლებიც დასახულია მათ წინაშე.

დამთავრდა კუიბიშევის ჰესის მე-12 ჰიდროაგრეგატის აწყობა

ჟიგულევსკი, (კუიბიშევის ოლქი), 21 დეკემბერი. (საკდესი). სულ ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ამუშავდა და სამრეწველო დენი გამოუშვა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მე-10 ჰიდროაგრეგატმა. მშენებლებმა ზეიმით აღნიშნეს ვოლგის ენერგეტიკული გიგანტის დაპროექტებული სიმძლავრის ნახევრის საექსპლოატაციოდ გადაცემა და ვალდებულება იკისრეს წელს ასამუშავებლად მოამზადონ კიდევ ორი აგრეგატი.

მთელ ამ დღეებში ჰიდროელექტროსადგურის სამანქანო დარბაზში დაძაბული მუშაობა იყო გაჩაღებული. მალე დამთავრდა სათვალავით მე-11 მანქანის აწყობა და წარმატებით განხორციელდა მისი ფუჭი ბრუნვა. „სპეციჰიდროელექტრომონტაჟის“ მემონტაჟეებმა მთელი თავიანთი ღონისძიებანი მოანდომეს მე-12 აგრეგატს. ახლა დამთავრდა ამ მანქანის აწყობაც. ვოლგის წყალმა აამოძრავა ტურბინის მუშა ბორბალი და აგრეგატი გამოსცადეს ფუჭი ბრუნვით.

მიმდინარეობს უკანასკნელი მზადება ამ ორი აგრეგატის საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

ტელევიზია მედიცინის სამსახურში

იმისათვის, რომ მედიცინის მუშაკთა ფართო წრეს აჩვენონ გაკეთებული ოპერაციები, მოსკოვში საექსპერიმენტო ქირურგიული აპარატურისა და ინსტრუმენტების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დადგმულია ტელეგადამცემი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა წარმოონ სატელევიზიო გადაცემები ინსტიტუტის აუდიტორიების ფარგლებში. ტელევიზიის მეოხებით, ჩვენი ქვეყნის სულ სხვადასხვა კუთხიდან დედაქალაქში ჩამოსულ მედიცინის მუშაკებს შეუძლიათ გაეცნონ უახლესი ქირურგიული აპარატურისა და ინსტრუმენტების გამოყენებას. სურათებზე: მარცხნივ — პროფესორი პ. ო. ანდროსოვი აკეთებს ექსპერიმენტულ ოპერაციას ძაღლის გულზე; მარჯვნივ — მედიცინის მუშაკთა ჯგუფი თვალს ადევნებს ოპერაციას ტელევიზორით.

ფოტო მ. რედკინისა და ლ. პორტერისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

ღრმად ჩავწვდეთ წარმოების ეკონომიკას

გავაძლიეროთ შესრულების შემოწმება

პარტბიუროს მდივნის ა. ლებანიძის საანგარიშო მოხსენებიდან.

— ჩვენი ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივს ერთდროულად უხდებოდა მუშაობა რთული ტექნოლოგიური პროცესების ათვისების, მინერალური სასუქების წარმოების თანდათანობით გადიდებისა და სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის. მიმდინარე წლის ნოემბერში ძირითადი სახეობის პროდუქციის — ამიაკის გამოშვების გეგმა შესრულებულია 83,7 პროცენტით, აზოტის მჟავასი — 79,6, ამონიუმის გვარჯილისა — 79,6, ხოლო ნატრიუმის გვარჯილისა — 114,8 პროცენტით. წინა თვეებში კი პროდუქციის სახეობათა მიხედვით გეგმის შესრულება 68 პროცენტს არ აღემატებოდა.

ეს მაჩვენებლები იმაზე მეტყველებენ, რომ ქარხნის კოლექტივი ჯერ კიდევ უნარიანად ვერ იყენებს არსებულ ტექნიკას, სუსტად იბრძვის გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინებისა და ამოქმედებისათვის.

ამასთან ერთად მაღალია პროდუქციის თვითღირებულება. გადახარჯულია დიდძალი ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და ენერგეტიკული რესურსები.

პარტბიუროო სუსტად იბრძოდა აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, ღრმად ვერ სწვდებოდა წარმოების ეკონომიკას. პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე იშვიათად განვიხილავდით ჩვენი ქარხნის მუშაობის მტკივნეულ საკითხებს და ამ შემთხვევაშიც მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი სათანადო კონტროლის უქონლობის გამო კარგი სურვილები და ღონისძიებანი მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა.

პარტიულ აქტივზე რომ არ ვილაპარაკო, დადგენილებათა განხორციელებისათვის თვით პარტბიუროს წევრებიც ნაკლებად ვზრუნავდით. მიმდინარე წლის 11 სექტემბერს პარტბიუროს სხდომაზე მოვისმინეთ ქარხნის მექანიკური სამსახურის განყოფილების მუშაობის საკითხი. სხდომაზე საკითხის განხილვამ ხელი შეუწყო სერიოზული ნაკლოვანებების გამოაშკარავებას, დავსახეთ ვრცელი ღონისძიებანი და გადავწყვიტეთ, რომ საკითხი ამ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ 20 ნოემბრისათვის მოგვესმინა. სამწუხაროდ, ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოვიყვანეთ.

ასევე მოვიქეცით პარტბიუროს სხდომაზე ამიაკის წარმოების საკითხის განხილვისას. უდავოა, რომ მიღებულ დადგენილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის პარტბიუროს უნარიანად რომ დაერაზმა კომუნისტები, მუშათა მთელი კოლექტივი, საწარმოს აღნიშნულ უბნებზე მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდებოდა და მთლიანად ქარხანაც გაცილებით უკეთეს მაჩვენებლებს მოიპოვებდა.

პარტბიუროს ახლად არჩეულმა შემადგენლობამ თავისი საქმიანობა სწორედ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებით უნდა დაიწყოს, გადაჭრით უნდა გაუმჯობესოს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში.

შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება

ა. რაისკი, ტექნიკური განყოფილების უფროსი.

— ნოემბერში ჩვენი ქარხნის ქიმიკოსებმა ამიაკის — მინერალური სასუქის დამზადებისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ეს კარგია, მაგრამ მარტოოდენ გეგმის შესრულება საკმარისი როდია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ჯდება პროდუქციის წარმოება.

სამწუხაროდ, ჩვენთან ამიაკის დამზადება დაახლოებით ერთიორად უფრო მეტი ჯდება, ვიდრე საწარმოოსაფინანსო გეგმით არის გათვალისწინებული. ეს შემდეგი მიზეზებით აიხსნება: სრული დატვირთვით ვერ ვამუშავებთ დანადგარებს, მაქსიმალურად ვერ ვიყენებთ სამუშაო დროს.

ქარხნის მთელ რიგ უბნებზე გონივრულად არ არიან გამოყენებული კადრები. მარტო გაზ-ამიაკის წარმოებაში 35 მუშის განთავისუფლება შეიძლება. სამაგიეროდ გამოცდილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით გაძლიერებას საჭიროებენ საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოებისა და აგტომატიკის, კონსტრუქტორთა და ცენტრალური ლაბორატორიის განყოფილებანი.

საჭიროა პარტბიუროს იზრუნოს ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მთავარია ადამიანებთან ცოცხალი მუშაობა

გ. ბელინზონი, უფროსი ელექტრიკოსი.

— ქარხნის პარტბიუროს მდივანი და ბიუროს წევრები ახლოს არ იდგნენ კომუნისტებთან, იშვიათად მიდიოდნენ საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებში, ღრმად ვერ სწვდებოდნენ წარმოების ეკონომიკას, კონკრეტულ დახმარებას არ უწევდნენ ძირეულ კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, დროზე არ უსწორებდნენ მათ შეცდომებს.

ამითაც აიხსნება, რომ აზოტის მჟავას საამქროში მოკლე ხანში პარტორგანიზაციის მდივანი სამჯერ შეიცვალა, პარტიული მუშაობა კი კვლავ ჩამორჩენილია. შეუწყნარებელია, რომ ამ საამქროში რამდენიმე თვეა პარტიული კრება არ მოწვეულა.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ქარხანაში იშვიათად მოდიან პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მუშაკები.

გავაუმჯობესოთ კადრების ეკონომიური სწავლება

გ. მეტრეველი, მექანიკოსი.

— მანქანა-დანადგარების წარმადობის გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების გამართულ მუშაობას. ჩვენთან კი ტექნიკური პერსონალის მიერ ქიმიური პროცესების ტექნოლოგიის დარღვევების გამო ეს ხელსაწყოები ხშირად გამოდის მწყობრიდან, მათს აღდგენაზე ზედმეტი დროის ხარჯვა და მუშახელის მოცდენა გვიხდება, რაც კიდევ უფრო ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

ჩვენს რესპუბლიკაში ქიმიური მრეწველობა მძიმე ინდუსტრიის შედარებით ყველაზე ახალგაზრდა დარგია. ქართველი ქიმიკოსების წინაშე განსაკუთრებით მწვავედ დგას ტექნიკის უახლეს მიღწევათა ათვისების, ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვისა და წარმოების ეკონომიკაში უფრო ღრმად ჩაწვდომის ამოცანა.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხები რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ამ დღეებში გამართული საანგარიშო-საარჩევნო კრების ყურადღების ცენტრში იყო.

ვბეჭდავთ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე აზოტოვანი სასუქების ქარხნის პარტბიუროს მდივნის ა. ლებანიძის საანგარიშო მოხსენებისა და ზოგიერთი კომუნისტის გამოსვლის შემოკლებულ ტექსტს.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მაღალი დონისათვის

ვ. ლისენკო, ამიაკის წარმოების პარტორგანიზაციის მდივანი.

— პოლიტიკური აგიტაცია მასებთან პარტიის კავშირის საუკეთესო საშუალებაა. ჩვენს ქარხანაში კი პარტიული მუშაობის ეს მნიშვნელოვანი უბანი თითქმის მივიწყებულია. პარტბიუროომ რამდენიმე აგიტატორი გამოჰყო და აღრიცხვის ჟურნალები დაურიგა. ეს იყო და ეს, ამით ამოწურა თავისი დახმარება აგიტატორებისადმი. პარტბიურო საანგარიშო პერიოდში ერთხელაც არ დაინტერესებულა აგიტატორების მუშაობით. უკანასკნელი 3-4 თვის მანძილზე საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებს, აგიტატორებს, პროპაგანდისტებს და კონსულტანტებს პარტბიუროსაგან არავითარი მითითება და რჩევა-დარიგება არ მიუღიათ იმაზე, თუ როგორ მოაწყონ მასებში პოლიტიკური მუშაობა.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ავრეთვე მხატვრული თვითმოქმედების წრეების მუშაობას. ბევრ მუშაკს, მათ შორის კომუნისტებსაც ეს რატომღაც მხოლოდ ახალგაზრდობის საქმედ მიაჩნია.

მეტი ყურადღება წარმოების რაციონალიზატორებს

გ. ახალაია, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი.

— პარტბიუროო სუსტად იბრძოდა პროგრესულ ტექნოლოგიურ ღონისძიებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა წარმოებაში დანერგვისათვის.

კარგი ხანია წარდგენილი მაქვს რაციონალიზატორული წინადადება, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ამონიუმის გვარჯილას თვისებების გაუმჯობესებას. აქამდე ამ მიზნით იყენებდნენ სპეციალურად დამუშავებულ დოლომიტს ანდა სხვა ნივთიერებას, რომელიც შორიდან შემოსატანია და ძვირიც ჯდება. ამასთან დოლომიტის დასამუშავებლად ჩვენს ქარხანაში სპეციალური საამქროს აგება იყო საჭირო. ჩემი წინადადების განხორციელებით კი საწარმო ერთ მილიონამდე მანეთს დაზოგავდა.

სამწუხაროდ, ქარხნის პარტიული ორგანიზაცია არ დაინტერესებულა ამ წინადადების ბედით და არც ზომები მიუღია წარმოებაში მისი დანერგვის დაჩქარებისათვის.

* * *

კომუნისტებმა მოურიდებლად გამოააშკარავეს რა ქარხნის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

გ. გელაშვილი,
ვ. შავგულიძე.

ორი მილიონი ბოთლი გეგმის გადამეჭვებით

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის კალინინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივმა 10 დეკემბერს შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური საწარმოო დავალება და ვალდებულება იკისრა წლის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას ორი მილიონი ბოთლი.

საერაონთაშორისო გამსვლელი სესია

ამას წინათ ქ. სამტრედიაში გაიმართა საერაონთაშორისო სამეცნიერო გამსვლელი სესია ონკოლოგიის საკითხებზე, რომელიც მოაწყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიურმა დისპანსერმა. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ონკოლოგიური დისპანსერის მეცნიერმა მუშაკებმა, აჭარისა და აფხაზეთის ას რესპუბლიკების, ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონების ექიმმა-ონკოლოგებმა და საერთო ქსელის ექიმებმა.

სესიის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მოხსენებები პროფესორ ქ. ვეფხვაძისა — „ავთვისებიანი სიმსივნეების პროფილაქტიკის თანამედროვე მდგომარეობა", დოცენტ ა. ღვამიჩავასი — „ონკოლოგიური მომსახურების მდგომარეობა რესპუბლიკაში", მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ბილანიშვილისა — „კუჭის კიბოს ნაადრევი დიაგნოსტიკის საკითხისათვის". აჭარისა და აფხაზეთის ას რესპუბლიკებში და ქალაქ ქუთაისში მოსახლეობის ონკოლოგიური მომსახურების მდგომარეობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს ექიმებმა ნ. პაკელიანმა, გ. ლეჟავამ და ს. კრავეიშვილმა.

მოსმენილ მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რაიონებში მომუშავე ონკოლოგმა ექიმებმა.

ვ. დოდელია,
სამტრედიის საავადმყოფოს პოლიკლინიკური განყოფილების ექიმი-ონკოლოგი.

მიმდინარე წელს ქუთაისელი მეკონსერვეები 32 მილიონ ქილა კონსერვს გამოუშვებენ. სურათზე: ქარხნის მთავარი საამქროს კონსერვის კონვეიერზე მომსახურე მოწინავე მუშა ბ. ჩხეტიანი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეორე შახტის მოწინავე უბნის უფროსი რ. ჯოხაძე (მარჯვნივ) ესაუბრება უბნის მეშახტეებს (მარცხნიდან) ვ. საფონოვს, ა. ბარციცსა და ნ. დგებუაძეს.

ფოტო გ. კვირკველიასი.

დაიწყო ახალი ჰორიზონტის მშენებლობა

ტყიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტში დაიწყო ახალი მძლავრი სამთო ჰორიზონტის მშენებლობა. იგი საგრძნობლად გაადიდებს ქვანახშირის სადღეღამისო ამოღებას, დააჩქარებს შახტის საპროექტო სიმძლავრის ათვისებას. ახალ ჰორიზონტში ქვანახშირის ფენების უმრავლესობა ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით დამუშავდება. გათვალისწინებულია შრომატევად სამუშაოთა დიდი ნაწილის მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

გამყვანთა ბრიგადები, რომლებსაც განთქმული შახტმშენებლები მ. გაბრიაძე და ი. მატუშენკო ხელმძღვანელობენ, სწრაფი ტემპით მიიწევენ მიწის წიაღში, გაჰყავთ ფართო ქვეითის ღრმა საშახტო ჭაური.

მალე აქ შეუდგებიან სავენტილაციო ვერტიკალური გამონამუშევრის გაყვანას.

სამი ქალაქის შეჯიბრება

რამდენიმე წელია გრძელდება ამერიკავკასიის რესპუბლიკების სამი ქალაქის — ლენინაკანის, კიროვაბადისა და ქუთაისის მშრომელთა ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება. პატრიოტული აღფრთოვანებით იბრძვიან რა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ლენინაკანის, კიროვაბადისა და ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა 1956 წლის — მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ სამივე ქალაქის მრეწველობამ გადამეტებით შეასრულა მიმდინარე წლის თერთმეტი თვის დავალება და მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა სახშობლოს.

შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად ლენინაკანისა და ქუთაისის მშრომელებმა იკისრეს მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის გადამეტებით ოც-ოცი მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება. კიროვაბადელებმა იკისრეს წლიური გეგმის 25 დეკემბრისათვის შესრულება და წლის ბოლომდე 15 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის მოცემა.

ამასთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ვალდებულებანი შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირების, აგრეთვე მოქმედ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთესად გამოყენების შესახებ.

შეჯიბრების მიმდინარეობისა და უკვე მოპოვებული შედეგების ერთმანეთისათვის გასაცნობად ამას წინათ ქუთაისის საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები იყვნენ ლენინაკანსა და კიროვაბადში, ხოლო ქუთაისში ჩამოვიდა ლენინაკანელთა დელეგაცია.

ქუთაისის საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები ლენინაკანსა და კიროვაბადში საყურადღებო საწარმოო მაჩვენებლებით ჩავიდნენ. ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ლენინაკანისა და კიროვაბადის სამკერვალო ფაბრიკების კოლექტივებს ეჯიბრება, ვადამდე შეასრულა პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის გეგმა.

ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი, რომელიც ლენინაკანელ მეფეხსაცმელეებს ეჯიბრება, 1956 წლის მეორე და მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა როგორც სრულიად საკავშირო, ისე რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამასთან კომბინატს საუკეთესო ხარისხისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების საწარმოს სპეციალო წოდება მიენიჭა. კიდევ უფრო მაღალნაყოფიერად იმუშავეს ქუთაისელმა მეფეხსაცმლეებმა ოქტომბერ-ნოემბერში, რის შედეგად 1 დეკემბრისათვის უზრუნველყვეს 1956 წლის საწარმოო პროგრამის შესრულება.

ქუთაისის მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმაც, მაგალითად, შუშის ტარის ქარხანამ, „საქნავთობბარიტის" მაღაროთა სამმართველომ, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ცენტრალურმა ავტოსარემონტო სახელოსნომ და სხვ., ვადამდე შეასრულეს წლიური დავალებები.

მაგრამ ქუთაისში არიან ჩამორჩენილი საწარმოებიც. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ლიტოპონის ქარხანა, საავტომობილო ქარხნის მთელი რიგი საამქროები, მანქანათმშენებელი ქარხანა და ა. შ. ამ საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა გადაჭრით გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, მოძმე რესპუბლიკების მონათესავე საწარმოებთან შეჯიბრებაში ღირსეულად დაიცვან ქუთაისელთა ღირსება.

შ. ჯავახაძე,
ქუთაისის საქალაქო გაზეთის „სტალინელის" რედაქტორი.

ახალ მესხეთში

აწყურს იქით, მტკვრის მარცხენა ნაპირას ჩამუქებული სიმინდის ყანები ზღვასავით ღელავდნენ. ფართოდ გადაშლილი ფოთლები აჭარა-ახალციხის მთებიდან მონაბერ ქარზე მძიმედ ირხეოდნენ. უნაპირო ყანებში ლურჯს, მწვანე და ყვითელ ფერებს ისე დაეხატათ მიდამოები, რომ მოხიბლული ადამიანი დიდხანს ვერ ახერხებდა ადგილიდან დაძვრას.

ლურჯ სამოსელში მორთულ ღეროებს უყურებდა გამვლელი თუ ამ ზღვა ფერების იქით მწვანეში ჩაფლულ სოფელს, ყველგან და ყველაფერში სიცოცხლის დამამკვიდრებელ ძალას გრძნობდა. თითქოს დედამიწას გულმკერდი გადაეხსნაო, ეს მადლიანი მესხეთის მიწა უწყვეტად აწვდიდა თავის ნოყიერ წვენს სიმინდის ფესვებს.

ამ სიმინდებს იქით, პურის მწიფე ყანებში, სადაც უხვი მოსავლის სურნელი დაფრქვეულიყო, კომბაინები გუგუნებდნენ.

სიმინდისა და პურის ეს ყანები სოფელ კლდეს ეკუთვნოდა.

ილიკო გოგოლაძე შუაგულ ყანაში იდგა და პურის უჩვეულო მოსავლით ტკბებოდა. ნაყოფით დახუნძლულ ხეხილის ბაღებს უმზერდა, მახლობელ მთებზე შეფენილ პირუტყვს თუ დაბლობებში სიმინდის თოხნაში სახელაღწილ გლეხებს, ყველაფერში შრომის ზეიმს ამჩნევდა.

მაგრამ ერთ წუთში თითქოს მიხი გონება რაღაც საოცარმა ფიქრებმა შებოჭა. ორმოცდაერთი წლის ზაფხულის ერთი დღე მოაგონდა. მაშინაც ასე გულზვიადად დაჰყურებდა იგი სიმინდისა და პურის ყანებს, მაგრამ იმ დღეს მამა და შვილი — პავლე და ილიკო ერთად გავიდნენ სახლიდან ზურგზე ჩანთააკიდებულნი.

ამ სურათის მნახველი დედა აქეთ-იქით დარბოდა ეზოში, აღარ იცოდა, რა ექნა, ეტირნა თუ შორი გზა დაელოცნა ქმრისა და შვილისათვის? ომში ერთად წავიდნენ მამა და შვილი, მაგრამ ორივენი რომ ვერ დაბრუნდნენ შინ!

პავლე ქერჩში დაიღუპა.

ომიდან დაბრუნებული ილიკო ისევ სოფლის ავკარგიანობაში ჩაება. საშუალო განათლება უკვე მიღებული ჰქონდა. მალე საგურამოში სოფლის მეურნეობის კადრების მოსამზადებელი ორწლიანი კურსები დაამთავრა. შემდეგ პარტიის ახალციხის რაიკომში ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა. 1952 წლიდან სოფელ კლდის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.

ახლა, როცა მას ფიქრები აუშალა ომის საშინელებათა მოგონებამ, სახე მთლად გაუფითრდა, თვალები გაუწითლდა, მამა გაახსენდა, მოაგონდა ის მრისხანე ორმოცდაერთი წელი და მამასთან დაშორების მძიმე წუთები. თითქოს ახლაც ჩაესმის ილიკოს მამის ხმა:

— „შვილო, აბა შენ იცი, ოჯახი არ გამილანძღო, სამშობლო არ შეარცხვინო!"

დიახ, ილიკოს ახლაც, ამ ზღვა ჭირნახულის წინაშე რომ დგას და ხარბად დასცქერის მას, ისე ჩაესმის ყურში მამის ხმა, როგორც მაშინ.

ამ მოგონებაზე ილიკოს უსიამოდ გაპარჭოლა ტანში, თვალები ფართოდ გაახილა, კალოსკენ გასწია. იქ ბრიგადირი თედორე კურტანიძე ხორბლით სავსე ტომრებს მანქანაზე აწყობდა.

ეს იყო ივლისის მიწურულში.

* * *

გვიანი შემოდგომის მზიან დღეს, როცა ერთხელ კიდევ ვნახე ეს სოფელი, ჩემთვის ვთქვი, კლდე კი არა, ბაღნარი ყოფილა-მეთქი. კოლმეურნეები უშველებელი ბეღლის წინ დილაადრიანად შესდგომოდნენ სიმინდის ტაროების ხელმეორედ გადარჩევას, გასუფთავებას და დაბინავებას. მუხლმაგარ ბიჭებს ტაროებით სავსე გოდრები მხრებზე შეედგათ და ბეღლებისკენ მიჰქროდნენ. მოხუცები ახალგაზრდობას იგონებდნენ და ქებას ასხამდნენ სიჯიერეს. მათთან საუბარი გავაბი. გულიც მალე გამიხსნეს.

— ორმოცდათორმეტ წლამდე, — თქვა ერთმა მოხუცმა, — ჩვენი კოლმეურნეობა ერთხელაც ვერ გაიმართა წელში, მაგრამ რაც ილიკო ჩაგვიდგა სათავეში, მას შემდეგ ჩვენს ოჯახებში მეტი პური, სიმინდი, ყველი, რძე, ხორცი, ღვინო და ხილი გაჩნდა.

— ახლა, ბატონო, მის ხასიათს არ იკითხავთ? — განაგრძო მან. — ოქროსავით ადამიანია, ღმერთმა ნურაფერი გაგიჭირვოთ, მაგრამ თუ საჭიროებამ მოითხოვა, ტყუილია, ჩემო ბიძია, მაგაზე უკეთ ვინმეს გიძმოთ. სწორედ მან უნდა თქვას, კაცი ვარ და ქუდი მხურავსო. ამას წინათ ავად გახდა. ხომ მოგეხსენებათ ომში ნამყოფი კაცის ამბავი. ხერხემლის ძვალი აქვს დაზიანებული. ზოგჯერ ისე ასტკივდება ზურგი, რომ წელში ვერ იმართება, განსაკუთრებით ავდარში. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ, ამას წინათ ძალიან ავად გახდა, მაგრამ არ იქნა და ვერ დავაწვინეთ. მაშინ ყველამ ვუთხარით: ილიკო, თუ ჩვენი ხათრი გაქვს, დაწექი, ბიჭო, თავს მოუარე და უშენობას არ დავაჭმევთ კოლმეურნეობას-თქო. დაგვეთანხმა. მართლაც, ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ თითქოს ჩვენს გვერდში მდგარიყო, ყველაფერი კარგად მიდიოდა. რატომ მიდიოდა ყველაფერი კარგად? იმიტომ, რომ მისი მართალი და სწორი სიტყვისა გვჯეროდა. ჩვენც ამიტომ ვიგულეთ იგი მეთაურად. ხომ მართალს ვამბობ, მეზობლებო?

— მართალს ამბობ, ბიძია, მართალს! — შეეხმიანა მას ერთი მოწიფული ვაჟკაცი. მოხუცმა თავისი გრძელი სიტყვა დაასრულა და განაგრძო სიმინდის ტაროების გასუფთავება.

საიდანღაც ილიკო წამოადგათ თავზე. გლეხებმა შეწყვიტეს ილიკოზე ლაპარაკი.

— როგორი მასპინძელი ხარ, თედორე, დღეს? — ჰკითხა ილიკომ.

— კარგი მასპინძელი ვარ, ჩემო ილიკო, კარგი!

— მაინც?

— ჰექტარზე ოცდაათი ცენტნერი, ზოგ ფართობზე ორმოცი, ზოგზე უფრო მეტიც-მოვიდა, მაგრამ სამუალოდ ჰექტარზე ოცდაათი ცენტნერი გამოდის! — უპასუხა თედორემ და თავი ფიქრებს მისცა, თითქოს გულიც დაწყდა, რომ უფრო მეტს მოელოდა და ვარაუდი მთლიანად არ გაუმართლდა, მაგრამ რატომ უნდა სწყენოდა თედორეს, როდესაც გეგმით გათვალისწინებული თორმეტის მაგივრ ოცდაათი ცენტნერი სიმინდი მიიღო? პურიც ხომ მეტი მოიყვანა თედორემ. იგი ძალას არ იშურებდა. გვალვა იყო — სიმინდებს რწყავდა. სამარგილი იყო — თოხნიდა. სასუქიც როდი დაზოგა.

მართალია, თედორეს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლება არა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ იგი დაკვირვებული და გამოცდილი გლეხია. კარგად იცის მიწის ყადრი. ხუხვი მოსავლის მოღებისათვის მიწის წესიერ დამუშავებასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს ხარისხიანი თესლის შერჩევას.

— აი ამ ყვითელ სიმინდს რომ ხედავთ, ეს ამერიკული ჯიშისაა, ის თეთრი კი ჩვენებური კაჟოვანაა. უნდა გამოგიტყდეთ, ეს ყვითელი სიმინდი რომ ვიშოვნეთ და დავთესეთ, მაშინ ეს თეთრი სიმინდი გასათოხნი იყო, მაგრამ აბა შეხედე ახლა ამის ტაროსა და მერე იმისას? — თედორემ მარცხენა ხელში ყვითელი ტარო დაიჭირა, მარჯვენაში — თეთრი. შემდეგ მან ორივე ტარო დაფშვნა, ცალ-ცალკე აწონა. ყვითელი სიმინდის მარცვალი ორას სამოცდაათი გრამი გამოვიდა, თეთრისა — ას სამოცი. როცა ასეთი შედეგი მიიღო, ჯერ ილიკოს შეხედა, შემდეგ მოხუცებს და, იმათ სახეზე მოწონება რომ ამოიკითხა, თქვა:

— შემდეგში სულ ამ ყვითელ სიმინდს დავთესავთ, ამხანაგებო!

— ყვითელი სიმინდი ვთესოთ, თედორე, ყვითელი! — დაუკრეს კვერი იქ მყოფებმა.

გარეშე ადამიანს თედორე ეგონებოდა თავმჯდომარე და არა ილიკო, მაგრამ გოგოლაძეს როდი სწყინდა, რომ მის სათქმელს ბევრჯერ მისი ბრიგადირი ამბობდა, პირიქით, უხაროდა მას და ისე უყურებდა თვალებში, როგორც ღვიძლ ძმას.

როცა კოლმეურნეთა მონდომებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ორივეს — თავმჯდომარესა და ბრიგადირს სახე უცნაურად გაუბრწყინდათ.

— ადამიანის გული აუვსებელი საწყაულია, — მძიმედ დაიწყო ილიკომ, — მინდა, რომ ყველანი უფრო მეტს მუშაობდნენ, მაგრამ სამდურავი მაინც არ მეთქმის. ჩვენთან სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება ნაკვეთების ინდივიდუალურად დამუშავების მეთოდმა. ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ მათთვის მოსავლელად მიჩენილი ნაკვეთები ხარისხიანად დამუშავებინათ. მათ ისიც იცოდნენ, რომ გეგმაზე მეტს თუ მოიყვანდნენ, პრემია-დანამატს მიიღებდნენ. ასეც მოხდა. კარგ საქმეს გვიშვრება მტკვრიდან ამოყვანილი წყალი, ასორმოცდაათი ჰექტარი მიწა სარწყავი გვაქვს, მომავალ წელს უფრო გაეზრდით სარწყავ ფართობებს. შვიდ კილომეტრზე გადაჭიმულ არხს კიდევ რომ ჩავაგრძელებთ, მაშინ ნახეთ რამდენი მარცვლეული გავცეთ შრომადღეზე! — ილიკომ ისევ ბრიგადირს გადახედა. თედორე მიუხვდა თავმჯდომარეს და ხმამაღლა თქვა:

— წლევანდელი შრომადღეც მდიდარი გვაქვს, თავმჯდომარეო! — თითქოს სწორედ ამის თქმა სურდაო, ილიკომ ბრიგადირს ხელით ანიშნა გაჩერდიო.

— დიახ, ჩვენი შრომადღე ჭეშლროდია, შარშან ორნახევარი კილოგრამი მარცვალი დავარიგეთ, წელს ოთხჯერ მეტს გავცემთ, — აქ ისევ შედგა ილიკო, ხვავად დაყრილ სიმინდთან მდგომ გლეხებს გადახედა. არავის ეუცხოვა, რომ თავმჯდომარემ ასეთი დიდი ციფრი დაასახელა. ანდა რატომ უნდა გაჰკვირვებოდათ? განა მათ არ იციან, როგორ იშრომეს? დიახ, იციან და ამიტომაც არ გაჰკვირვებიათ, მაგრამ თვითეულ მათგანს მაინც ერთმანეთისათვის გაუმხელელად უხაროდა გულში, რომ ახალციხის რაიონში მათი კოლმეურნეობა პირველი და ყველაზე მოწინავე იყო სიმინდის მოყვანის დარგში.

ბევრ ლაპარაკს დაჩვეული ზოგი თავმჯდომარე ამაზე სამსაათიან მოხსენებას გააკეთებდა, მაგრამ ილიკომ, ამ სიტყვა-ძუნწმა და უთქმელმა კაცმა ორიოდე სიტყვა თქვა და გაჩერდა. დანარჩენი თქვენ თქვითო, — ამბობდნენ მისი თვალები.

ილიკომ ახლა სხვა რამეზე გადაიტანა ფიქრი. რაზე ფიქრობდა იგი ნეტავ? იმ ახლადაგებულ სახლებს, რომლებსაც ჯერჯერობით ნავთის ლამპები ანათებენ, როგორ გააჩახჩახებს ილიჩის ნათურები? ამას სულ მალე მოვაგვარებთ და მაშინ ნახეთ, ჩვენი სოფელი რა გაეღრიალებული იქნებაო, ამბობდა გულში ილიკო და თვალს არ აშორებდა სოფელს.

მის წინ ბეღლები წყრთიანი ტაროებით ივსებოდა. ძროხები მთებიდან ბღავილით ჩამოდიოდნენ. შორიდან ტრაქტორების გუგუნი მოჰქონდა ნიავს. ჩამავალი მზე ოქროსფრად ღებავდა აჭარა-ახალციხის თოვლიან მთებს.

სიმონ წვერავა.

გაზეთების ფურცლებზე

ახალგაზრდა მაღაროელთა შემოქმედება

დიდი რუსი დემოკრატი-რევოლუციონერი ბესარიონ ბელინსკი წერდა: „ჩვენ გვიყვარს მგზნებარე ლექსების, რომანების, მოთხრობების წაკითხვა“. ბელინსკი მართალი იყო სახელგანთქმული კრიტიკოსი: მხატვრული სიტყვა ადამიანის სულიერი საზრდოა, კარგ მხატვრულ ქმნილებას ხალისი და სიმხნევე შეაქვს ადამიანის სულსა და გულში.

ჭიათურელ მაღაროელ ახალგაზრდებსაც უყვართ კარგი ლექსი, მოთხრობა, პოემა თუ რომანი. მაღაროელები გატაცებით ეწაფებიან წიგნს — ცოდნის წყაროს, კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას. მაგრამ არა მარტო კითხულობენ, ბევრი მათგანი ცდილობს კიდეც დაწეროს ლექსი ან მოთხრობა, გვიჩვენოს მაღაროელთა შრომა და ყოფაცხოვრება, მათი გრძნობები, მისწრაფებანი. და აი უკვე ერთი წელია, რაც გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ ფურცლებზე გამოჩნდა მაღაროელი ახალგაზრდობის მხატვრული შემოქმედება.

დამწყები პოეტი, სამთო ტექნიკოსი გ. წერეთელი გაზეთის ფურცლებზე გამოვიდა ციკლით „მაღაროელთა სურათები“. მან ლექსები უძღვნა მებიგეს, მჭედელს, მონტიორს, მბურღავს, ამფეთქებელს, მარქშეიდერ გოგონას. იგი ლექსებში ასახავს მაღაროელთა კეთილშობილურ შრომას. მან კარგი ლექსები უძღვნა დიდ ლენინს, პარტიას, ხალხთა მეგობრობას, აგრეთვე ელსადგურთა მშენებლობებზე და ყამირ მიწებზე მიმავალ ახალგაზრდებს.

ნიკოპოლელ მაღაროელთა დელეგაციის ჭიათურაში ჩამოსვლისას გ. წერეთელმა დაწერა ლექსი „ძმობა“, რომელშიც გულწრფელად უმღერის ხალხთა დიად მეგობრობას, მის ძალასა და ცხოველმყოფელობას. ავტორი ამბობს:

„ძმა ძმისათვის,
შავ დღისათვის...
ქართველების ადათ-წესი
ასე ამბობს.
ძმებს რომ მტერი თავს დაესხა ამას წინათ,
იქ ხომ ნახეთ ყართველ ძმების
თავგანწირვა.
უკრაინის ტრამალებზე, ვინაც ძმისთვის
თავი დასდო,
ყველა მეოგარს
დე ეს ჩვენი მეგობრობა ძეგლად ედგას!
აი ძმობა ამას ჰქვია სასახელო,
ყართველს ყარი უფრიალებს ცალ სახელოს,
ვინც დაკარგა ძმისთვის სისხლი და
მარჯვენა,
დე ეს ძმობა იყოს მათი გამარჯვება!
ვინც უფეხო დარჩა ძმების გადამრჩენი,
ჩვენი ძმობა იყოს მათი ყავარჯენი!...“

გულწრფელი ლირიკით, ბუნებრივი უშუალობით გამოირჩევა ახალგაზრდა მაღაროელის, სამთო ტექნიკოსის თ. გურჯაძის ლექსები. დამწყები პოეტი კარგად გადმოგვცემს გაზაფხულის სურათებს და ლექსს ასე ამთავრებს:

„დედამიწა ისე ხარბად სუნთქავს ახლა,
თითქოს მკერდში ჩაუდესო საბერველი,
ტრაქტორისტმა ჩემი სოფლის მწვანე კაბას
დააკერა ხნულის შავი საკერველი“.

ლექსში „ძველი ბარათი“ ავტორი გულწრფელი განცდით, ლირიკულ ფონზე გადმოგვცემს სამგორის მშენებელთა გამარჯვებას.

გაბედული ხმით გამოვიდა გაზეთის ფურცლებზე ახალგაზრდა მაღაროელი გ. დეკანოიძე. ცდილობს რა გვიჩვენოს ლექსის დანიშნულება, ახალგაზრდა ავტორი წერს:

„მარტო სიტყვების ყიერა რა არის,
რა არის მარტო წყობა რითმების,
ლექსს ხმა თუ არ აქვს დილის საარის
და ელვარება მარგალიტების.
. . . . . .
თუ არ ჩასწვდები ყველა საუნჯეს
ხალხის გულებთან სიმების გამმით,
რა პოეტი ხარ? სჯობს, რომ დამუნჯდე
და დაადუმო ენაც და ჩანგიც“.

კარგი სტრიქონები დაბეჭდეს მაღაროელთა გაზეთში ახალგაზრდა ლიტერატორებმა შ. აბაშიძემ, ეთერ ჯიშკარიანმა, ლალი დეკანოსიძემ, ი. ქემერტელიძემ, გ. შეყილაძემ, ა. კაპანაძემ, რ. დეკანოიძემ და სხვებმა.

მაგრამ მათი შემოქმედება უნაკლო როდია. ბევრი ლექსი მოიკოჭლებს ფორმითა და შინაარსით. აი, მაგალითად, რას წერს დამწყები პოეტი გ. წერეთელი ლექსში „ვარდებს“:

„ვინ გიყიდა, ო, ეგ კაბა,
ვარდები რომ ამოსია,
სულშიც ვარდი, გულშიც ვარდი,
მკერდზეც ვარდი ამოგსელია.
ნუ ჩაიცვამ ვარდის კაბას,
ბაღში ნუ კლავ დროსაც მეტად,
თორემ ხელი წამომცდება
მკერდზე ვარდის მოსაწყვეტად“.

ლექსში „პირველი პრაქტიკა“ იგივე ავტორი გადმოგვცემს, თუ პრაქტიკანტ ქალიშვილს როგორ შეეშინდა ლავის დაწოლის, დამფრთხალი შეაფრინდა ავტორს და მკერდზე მიანდო მკერდის სასწორი, როცა ქალიშვილი ამბობს:

„...უი, რას იტყვის, ვინაც გვნახავდა,
უეჭველია, ვინმე გაგვკილავს...

ავტორი უპასუხებს:

„— რა ვუყოთ, მერე, ვინ დაგვძრახავდა,
ჩვენ გავდიოდით პირველ პრაქტიკას“...

ეს ტენდენცია ზოგ სხვა ლექსშიც იგრძნობა.

ლირიკის წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ საჭიროა ზომიერება, თავი არ უნდა იჩინოს პორნოგრაფიისაკენ მიდრეკილებამ.

გაზეთმა „ჭიათურის მაღაროელმა“ უეჭველად კეთილშობილური საქმე წამოიწყო, როცა შემოიკრიბა დამწყები მაღაროელი პოეტები და დროდადრო ბეჭდავს მათს ნაწარმოებს. რედაქცია, ალბათ, გააგრძელებს ამ მხრივ მუშაობას, მხატვრული სიტყვითაც ასახავს მაღაროელთა სისხლ-ჭარბ ცხოვრებას. ახალგაზრდა ავტორებმა კი უფრო მეტი გულმოდგინეობით უნდა იმუშაონ.

პ. ჭიოკაძე.

ქ. ჭიათურა.

— კურორტი —

სოჭი—მაცესტა

სოჭი — მაცესტა ერთ-ერთი უდიდესი კურორტია ჩვენს ქვეყანაში. დამსვენებელთა მთელი წლის განმავლობაში მომსახურებაზე გადასვლის შემდეგ ბევრად გაიზარდა აქაური სანატორიუმების გამტარუნარიანობა. 11 თვის განმავლობაში სანატორიუმებში დაისვენა 250 ათასზე მეტმა კაცმა. ნავარაუდევია, რომ მომავალ წელს აქ შვებულებას გაატარებს 320 ათასზე მეტი მშრომელი.

სურათზე: სანატორიუმ „ზოლოტოი კოლოსის“ დამსვენებლები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ომსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „სევერო-ლიუბინსკის“ ზოოტექნიკოსი ი. ვ. ნიკიფოროვი, ორიოლის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ზომუტოვსკის“ მებოსტნეთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი რ. გ. ზამურუევი, ტიუმენის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კრასნოორლოვსკის“ ტრაქტორისტი მ. ა. ეგოროვი და ომსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „სევეროლიუბინსკის“ დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ფ. ნიკიფოროვი.

ფოტო ე. შულეპოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მშრომელთა საახალწლო სუფრისათვის

„საქკონსერვტრესტმა“ მოსკოვში, ლენინგრადში, შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში და სსრ კავშირის სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ამ დღეებში გაგზავნა 220 ვაგონი სხვადასხვა ხილის კონსერვი, მურაბა, ჯემი, პოვიდლო, კომპოტი, აგრეთვე ვაშლისა და მანდარინის წვენი. ნავარაუდევია დეკემბრის ბოლომდე კიდევ გაიგზავნოს 300 ვაგონი სხვადასხვა კონსერვები.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში — მოსკოვში, ლენინგრადში, რსფსრ რესპუბლიკაში, უკრაინაში, ლიტვაში, აზერბაიჯანში, სომხეთში და სხვაგან გაგზავნილია აგრეთვე 5.550 ტონა მანდარინი, მათ შორის 150 ტონა გეგმის გადამეტებით. მანდარინის მიწოდება გრძელდება.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბროშურა სერიოზული ნაკლოვანებებით

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ამას წინათ გამოსცა ამხ. ნ. ტ. კვარაცხელიას ნაშრომი „სუბტროპიკული ხეხილის ყინვაგამძლეობა და მისი გადიდების აგროტექნიკური საშუალებები“. ბროშურა აქტუალურ საკითხზეა დაწერილი. სუბტროპიკული მცენარეების ყინვაგამძლეობას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი გავრცელებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის. ციტრუსოვანთა ნარგავების ყინვებისაგან დაცვა სუბტროპიკული რაიონების მშრომელთა და სპეციალისტთა საპატიო საქმეა. ამიტომ გასაკვირი არ არის ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენენ კოლმეურნეები და სპეციალისტები ამ საკითხზე გამოცემული ლიტერატურისადმი.

ამხ. კვარაცხელიას ბროშურა ასახავს სუბტროპიკული ხეხილის ყინვაგამძლეობასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს. ბროშურაში ხაზგასმით არის აღნიშნული აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელების უდიდესი მნიშვნელობა ყინვებისაგან ნარგავების დაცვის საქმეში.

ავტორს ერთგვარი მუშაობა გაუწევია. მოჰყავს სხვადასხვა დაკვირვება, მცენარის ყინვაგამძლეობაზე, რაც დაეხმარება სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს სუბტროპიკული კულტურების უკეთ გამოზამთრების საქმეში.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბროშურა ვერ არის სრულყოფილი, მას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს.

ცნობილია, რომ ამჟამად ციტრუსოვანთა ნარგავების ყინვებისაგან დაცვის შედარებით რადიკალურ ღონისძიებად ითვლება ხის შტამბზე მიწის შემოყრა და ხეების შეფუთვა სამფენოვანი მარლით. შტამბზე მიწის შემოყრის შესახებ „ციტრუსოვანი კულტურების აგროწესებში“ (რომელიც შედგენილია მრავალი სპეციალისტის, მეცნიერ მუშაკის, სოფლის მეურნეობის ნოვატორისა და მეციტრუსე პრაქტიკოსის მონაწილეობით), ვკითხულობთ:

„მიწის შემოყრა ტარდება... მყნობის ადგილიდან 25-30 სმ სიმაღლეზე... მიწა აიღება რიგთა შორის, ხის ბუდნობის გარეთ ისე, რომ ხის ფესვები არ დაზიანდეს (გვ. 44). ახლა მოვუსმინოთ კვარაცხელიას: „მიწის შემოყრა ტარდება 30-35 სმ სიმაღლეზე იმ ვარაუდით, რომ მიწა მიყრილი იყოს ოკულირების ადგილის ზევით 10-15 სმ სიმაღლეზე... შემოსაყრელად იყენებენ... სადრენაჟო არხიდან აღებულ წმინდა მიწას და ყრიან შტამბის ირგვლივ, წრის გარეშე“ (ხტილი დაცულია. გვ. 36-37).

როგორც ვხედავთ, ამ ორ დებულებას შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა: ვის უნდა დაუჯეროს მეციტრუსე კოლმეურნემ და სპეციალისტმა? ცხადია, პირველ განმარტებას.

ციტრუსოვანთა ნარგავების დაცვა ყინვებისაგან შებოლებისა და ღია გათბობის საშუალებით (რასაც ამ 20-25 წლის წინათ მიმართავდენ) უშედეგო აღმოჩნდა. ახლა ციტრუსოვანთა ბაღებში კვამლის ფარდის შექმნით ნარგავების დაცვას არავინ მიმართავს. მაგრამ ავტორი თავის ბროშურაში რამდენიმე გვერდს უთმობს პრაქტიკით უარყოფილ ამ ღონისძიებას და იმასაც კი აღნიშნავს, თუ რომელი მცენარე იძლევა კვამლის დიდ რაოდენობას, ხოლო ბოლოს დაასკვნის, რომ „საერთოდ ეს წესი ჩვენს პირობებში არ არის გავრცელებული“ (გვ. 43). თუ ეს ასეა, მაშინ რა საჭირო იყო მსგავსი მკითხველისათვის გათვალისწინებულ ბროშურაში პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული ამბების მოყვანა?

აგრონომიულ მეცნიერებაში მიღებული და დამტკიცებულია, რომ ნიადაგის გაფხვიერება ხელს უწყობს და აჩქარებს მცენარის ვეგეტაციას (ზრდა-განვითარებას). მაგრამ ბროშურის ავტორი უარყოფს ამ უდავო ჭეშმარიტებას და წერს, რომ „ნიადაგის (აგვისტოზე უფრო გვიან) გაფხვიერება და აგრეთვე სათოხნი კულტურების ქვეშ (ბოსტნეული და სხვა) მისი დატოვება ხელს უშლის ციტრუსების ვეგეტაციის გაგრძელებას და ყინვებისადმი გამოწრთობას“ (გვ. 30). მომდევნო გვერდზე ავტორი ღალატობს თავის „დებულებას“.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობთა გადიდება და მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება. კერძოდ, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1960 წლისათვის ახალი პლანტაციები უნდა გაშენდეს 6 ათას ჰექტარზე. ნ. კვარაცხელიას ბროშურა გამოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ. ავტორს ეს საკითხები აუცილებლად უნდა განეხილა ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე.

ბროშურაში დამშვებული ნაკლოვანებანი შეიძლებოდა თავიდან ყოფილიყო აცილებული, სახელმწიფო გამომცემლობა და ბროშურის რედაქტორი (ამხ. ც. ჭიჭინაძე) უფრო დაკვირვებით რომ მოჰკიდებოდნენ სოფლის მეურნეობის აქტუალურ თემაზე გამოსაცემ ნაშრომს.

ვფიქრობთ, რომ ავტორი გაითვალისწინებს ამ შენიშვნებს, მომავალში უფრო სრულყოფს თავის ნაშრომს, გაამდიდრებს მას სუბტროპიკული რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და უხვი მოსავლის ოსტატთა მდიდარი გამოცდილების მასალებით, რომლებშიც მოცემული იქნება ციტრუსოვანთა ყინვებისაგან დაცვის ახალი, მოწინავე მეთოდები და ხერხები.

აგრონომი დ. ფაილოძე.

ყალბისმქმნელები

— აბა შეუტიეთ, ძვირფასებო, ტემპს ნუ შეანელებთ, ბოლამდე [illegible] ბრძოლა [illegible] ორპირის ჩაის [illegible] პუნქტის [illegible] ა. გაბრიაძე [illegible] ფელ ბუთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ლაფერაძემ პლანტაციებში საუშაოდ გასულ ჩაის ფოთლის მკრეფავებს. მაგრამ უცებ ფერი ეცვალა.

— კინაღამ წამომცდა, — თქვა გულში მან. ფიქციური ქვითრები, უწყისები... გეგმის შესრულება, სახელმწიფო ფული!..

აწეწილ-დაწეწილი ფიქრები უტრიალებდა თავში თავმჯდომარეს. მან ჩაის პუნქტისაკენ გასწია. აქ დახვდნენ პუნქტის გამგე გ. ქასრაშვილი და ბრიგადირი ა. გაბრიაძე.

— ჯერ თქვენი გამარჯვებისა და შემდეგ ჩვენი გამარჯვებისა იყოს, — რიხიანად წარმოთქვა ს. ლაფერაძემ. — როგორ არის შეთანხმების საქმე? კოლმეურნეობას გეგმა შესრულებული ექნება, მე სახელი დამრჩება, თქვენ კი — სახრავი!

— ყველაფერი გაკეთებულია. მიიღეთ 3.005 კილოგრამი ჩაის ჩაბარების ყვითრები. სულ პირველ და მეორე ხარისხშია გაშვებული.

— ჩვენ რა ხარისხში გავალთ, ბიჭო, ვითომ? არ დავიღუპოთ!

— აბა, — დაიმედა თავმჯდომარე ბრიგადირმა ა. გაბრიაძემ, ყველა ხვრელი ჩავკეტეთ, ვერავინ შემოაღწევს...

მართლაც, კოლმეურნეობის თავმჯდომარის დავალებით ბრიგადირებმა ნ. ბრეგაძეს და უ. ბრეგაძემ ისეთი უწყისები შეადგინეს, რომ მათს სიყალბეში ეჭვს ვინ მიიტანდა!

— ჯერ ამ უწყისებში 18 კაცი გვყავს, — განაგრძობდა ა. გაბრიაძე, — მერე და, გოგოლის მკვდარი სულები კი არა, ცოცხალი ადამიანები!.. ზოგი თერჯოლის რაიონში ცხოვრობს, ზოგი ქუთაისში. თითქოს დავიერავეთ ისინი და ჩაი ვაკრეფინეთ. ხომ ჭკვიანურია?

ახლა ვნახოთ, სადამდე მიიყვანა ისინი ამ „ჭკუამ“.

ეს იყო 1955 წელს. ყალბისმქმნელებმა ფიქციური ყვითრებისა და უწყისების საფუძველზე სახელმწიფოსათვის წაგლეჯილი პირველი 6.000 მანეთი სალაროდან გამოიტანეს. ფული კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ლაფერაძემ პუნქტის გამგეს გ. ქასრაშვილს გადასცა ყალბი ქვითრების საფასურად.

მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია. ყალბისმქმნელებმა უფრო ღრმად შეტოპეს და განაგრძეს ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა. 1956 წელს გ. ყასრაშვილმა ბრიგადირ ა. გაბრიაძეს უყოყმანოდ გაუფორმა პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის ჩაბარების ყალბი ქვითრები. ბრიგადირმა არ დააყოვნა, ჩვეული გზით სალაროდან მიიღო 1.896 მანეთი და პუნქტის გამგეს გ. ქასრაშვილს მიართვა.

— თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო,— გაიფიქრა ორპირის ჩაის ფაბრიკის ცენტრალური პუნქტის გამგემ შ. ყაშიბაძემ და საქმე მოაკვარახშინა: 1956 წლის ივლისი. შ. ყაშიბაძემ პირველი ოპერაცია „წარმატებით“ ჩაატარა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. ლაფერაძეს არ აწყენინა, პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის ჩაბარების ფიქციური ქვითარი გაუფორმა და ჩუმად გულის ჯიბეში ჩაუდო. თავმჯდომარემ დაატრიალა თავისი მოადგილე უ. გაბრიაძე, აგრონომ-ქიმიკოსი ვ. არსენიძე, ბრიგადირი ა. გაბრიაძე, და ყალბ ყვითრებთან ერთად გაჩნდა ყალბი უწყისები. ამ გზით სალაროდან გამოტანილ იქნა 3.009 მანეთი. ამჯერად ეს თანხა ს. ლაფერაძემ ფაბრიკის ცენტრალური პუნქტის გამგეს შ. ყაშიბაძეს მიართვა.

ამრიგად, — ყალბისმქმნელებმა სახელმწიფოს წაგლეჯეს 37.612 მანეთი, რაც ფაბრიკიდან ბუთის კოლმეურნეობაში შემოვიდა, იქიდან კი ზოგიერთის ჯიბეში მოექცა...

ეს ამბავი ჩაის კრეფის ორი წლის სეზონში გრძელდებოდა. მაგრამ კოკამ წყალი ყოველთვის ვერ მოიტანა. გატყდა. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს რევიზორმა ამხ. ნ. კობახიძემ ყალბისმქმნელებს დანაშაულზე წაასწრო. ზემოაღნიშნულს გარდა კოლმეურნეობის სალაროში 4.151 მანეთის დანაკლისი აღმოჩნდა.

კომბინატორთა წინააღმდეგ პარტიის ტყიბულის რაიკომმა მიიღო ორგანიზაციული ზომები. საქმეები გადაეცა პროკურატურას.

ყალბისმქმნელები ღირსეულად უნდა დაისაჯონ.

ნ. კლატოლიძე.

ტურისტის ჩანაწერები

დილას, როცა მზე ამოდიოდა, მატარებელი სასაზღვრო ქალაქ ჩოპში შეჩერდა. მესაზღვრეებმა მგზავრების დოკუმენტები შეამოწმეს. მატარებელმა საზღვარი გადალახა. მივდივართ მოძმე ჩეხოსლოვაკიაში.

მატარებელი მიჰქრის. ფანჯრიდან გავცქერით თვალწარმტაც ველებს. მზე უხვად აფრქვევს სხივებს ტყით შემოსილ გორაკებს. ხანდახან გამოჩნდება სლოვაკური სოფლები, სადაც თეთრ კედლებიანი, წითელი კრამიტით დახურული სახლები ჩაფლულან მწვანეში. ჩეხოსლოვაკიის ბუნება საქართველოს მოგაგონებთ.

მატარებელმა სვლას უკლო. იგი ჩერდება და ყველანი სადგურ ვსეტინში ჩამოვდივართ. ორი ავტობუსით გავემგზავრეთ ქ. გოტვალდოვისაკენ. მივდივართ... გზა ისევ მთავრობიანია, გზატაეცილს ვაშლის ხეების ხეივანი ამშვენებს. მიდამოები წიწვიანი ტყეებით არის დაფარული. უკვე საღამოს რვა საათია, შორიდან მოჩანს ელექტროლამპიონებით გაჩირაღდნებული გოტვალდოვის კონტურები. ერთი საათის შემდეგ ჩვენი ავტობუსები სასტუმრო „მოსკოვის“ წინ გაჩერდნენ. დავბინავდით ჩვენთვის განკუთვნილ ოთახებში.

ქ. გოტვალდოვი (ყოფილი ზლინი) მდებარეობს მთაგორიან ადგილს, მდინარე დრეევნიცის ხეობაში. მისი მიდამოები დაფარულია ტყით. 1945 წლამდე ქ. ზლინის ბატონ-პატრონად ითვლებოდა ფეხსაცმლის საწარმოთა მეპატრონე-კაპიტალისტი ბატა.

1945 წლის 2 მაისს საბჭოთა ჯარები შეეიდნენ ქალაქ ზლინში. მუშებმა ყარხნებზე წითელი დროშები აფრიალეს. ეს იყო ფაშისტური ოკუპაციის დასასრული. ბატია ბრაზილიაში გაიქცა. ქარხნების პატრონი მუშები გახდნენ. ქალაქ ზლინს გოტვალდოვი უწოდეს, ხოლო ბატიას ყოფილ საწარმოს „სვიტი“.

„სვიტ“-ის ფეხსაცმლის ფაბრიკები მოწინავე საწარმოებია ჩეხოსლოვაკიაში. „სვიტმა“ რესპუბლიკაში პირველმა შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. აქ 30 ათასი მუშა-მოსაპსახურე მუშაობს. ეს საწარმოები ჩეხოსლოვაკიაში გამოშვებულ ფეხსაცმლის ნახევარს აწარმოებენ. ყარხნები მთლიანად მექანიზებულია. ყველა ოპერაცია ტექნიკურად რთული მანქანებითა და დაზგებით ხორციელდება. ერთი წყვილი სტანდარტული ფასონის ფეხსაცმელის შეკერვას 41 წუთი სჭირდება. ამ ხნის განმავლობაში წყვილი ფეხსაცმელი 54 ოპერაციას გადის.

რეზინის ფეხსაცმლის საამქროში ჩვენ ვნახეთ მაღალი წნევის ელექტროსაწნეხი მანქანები, რომლებზეც მზადდება რეზინის სპორტული ფეხსაცმელი. ამ მანქანებზე ერთი მუშა 105 წამში 4 წყვილ ფეხსაცმელს ამზადებს.

თუ ბატიას დროს მუშები საშინელ ექსპლოატაციას განიცდიდნენ, ამჟამად საჩალხო მთავრობამ ყველა პირობა შეუქმნა მუშებს ნორმალური შრომისათვის. ამას ისიც მოწმობს, რომ „სვიტში“ არის კარგად მოწყობილი სამედიცინო პუნქტი, სადაც 36 სხვადასხვა სპეციალობის ექიმი მუშაობს. ბატიას დროს კი მთელ წარმოებაში მხოლოდ ერთი ექიმი იყო.

სამედიცინო პუნქტი აღჭურვილია ყველა სახის თანამედროვე სამედიცინო იარაღებითა და აპარატურით, რომლებიც ჩეხოსლოვაკიაშივეა დამზადებული. კომბინატის ტერიტორია კეთილმოწყობილი და გამწვანებულია. აქვეა კინოთეატრი 2.000 მაყურებლისათვის, დიდი საცურაო აუზი და სხვ.

უკანასკნელ წლებში მუშებისათვის მრავალი ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდა. ქალაქი დღითიდღე მშვენიერდება. აქ ნახავთ ახალ სასპორტო კლუბებს, საზამთრო საცურავ აუზს, სტადიონს, წყლით სამკურნალოს და სხვ. ყოფილ მეფაბრიკეთა სახლებში საბავშვო ბაღები და საბავშვო ბაღები გახსნილი, ბატიას ვილაში კი — პიონერთა სასახლე.

იმავე დღეს ზოტვალდოვიდან გავემგზავრეთ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში.

მშვენიერია პრაღა დღისით, ღამით და კიდევ უფრო ლამაზია განთიადისას. ქალაქი ადრე იღვიძებს. პრაღის ქუჩები დილით ხალხმრავალია.

დავთვალიერეთ პრაღის კრემლი. მის მესამე მოედანზე აღმართულია გოთური სტილით ნაგები ტაძარი „წმიდა ვიტა“. წმიდა ვიტას ტაძრის მშენებლობა დაწყებული იყო მეფე კარლოს IV-ის ხელმძღვანელობით 1346 წელს. ამ შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობის მშენებლობა მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში დამთავრდა. ტაძარში უამრავი ქანდაკებაა. აქვეა მეფე კარლოს IV-ის, მისი ოთხი ცოლის და ორი ძმის აკლდამა.

დავთვალიერეთ აგრეთვე ეკლესია წმიდა „მარიამის კაპელა“. აქ ინახება უძვირფასესი და უნიკალური საგანძური „პრაღის მზე“. „პრაღის მზეს“ აქვს ოქროს 53 სხივი, თვითეული სხივის სიგრძე 20-40 სანტიმეტრს უდრის. ამ ოქროს სხივებში ჩასმულია ექვსი მილიონ 222 ათასი ბრილიანტი. ყველაზე დიდი ორი ბრილიანტი 32 კარატია თვითეული. „პრაღის მზე“ 1928 წელს შეფასებული იყო 22 მილიონ დოლარად. ამერიკელები შეეცადნენ „პრაღის მზის“ შესყიდვას, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა.

პრაღის მთელ სიგრძეზე გაწოლილია მდინარე ვლტავა. დიდი შთაბეჭდილება დატოვა მდინარე ვლტავის ერთ-ერთმა ტოტმა, რომელიც ყუჩის მაგვარობას უწევს პრაღელებს. მდინარის ამ განშტოების ორივე მხარეს აგებულია საცხოვრებელი სახლები. პრაღელები მას „პრაღის ვენეციას“ უწოდებენ. დედაქალაქის მცხოვრებთ უყვართ თავიანთი მდინარე, ვლტავის სანაპიროზე ზაფხულის თვეებში ათეულ ათასობით მშრომელი ისვენებს. მდინარე სანაოსნოდაც არის გამოყენებული, მრავალი ნავი და სამდინარო გემი დაცურავს მასზე.

პრაღაში ვინახულეთ ფერწერის სახალხო გალერია, სადაც დიდი ინტერესით დავთვალიერეთ ჩეხ მხატვართა ნაწარმოებები. ვიყავით სმეტანას სახელობის ოპერის თეატრში, ვარიეტეში და კინოთეატრში.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. რესპუბლიკაში მუშაობს მრავალი სამკურნალო დაწესებულება, რომლებიც აღჭურვილია უახლესი სამედიცინო იარაღებითა და მედიკამენტებით. დიდი ინტერესით დავთვალიერეთ ერთ-ერთი სამკურნალო დაწესებულება, რომელშიც 1.200 საწოლია. მისი ხელმძღვანელი დიდი მონდომებით გვიხსნიდა სხვადასხვა განყოფილების მუშაობას. დაწვრილებით გავეცანით სამშობიარო, გინეკოლოგიური და ახალშობილთა განყოფილებების მუშაობას.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩეხოსლოვაკიის ხალხის ბელადის კლემენტ გოტვალდის მავზოლეუმმა. იგი ცოცხალი ყვავილების გვირგვინთ შევამკეთ.

ჩეხოსლოვაკიელები დიდად აფასებენ საბჭოთა ხალხთან ძმურ მეგობრობას და იმ წვლილს, რაც საბჭოთა ადამიანებს მიუძღვით ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში გერმანელ ოკუპანტთა უღლისაგან. ჩვენ ამაში უფრო მეტად დავრწმუნდით, როცა საბჭოთა მეომრების სასაფლაო ვნახეთ. სასაფლაო კარგად არის მოვლილი, მორთულია ფერადფერადი ცოცხალი ყვავილებით.

ჩვენ კარლშტეინისაკენ მივემგზავრებით. ციხედარბაზი კარლშტეინი 20-25 კილომეტრით არის დაშორებული პრაღას. გზაზე რამდენიმე ლამაზი სოფელი გავიარეთ, სოფლის შუაგულში ყველგან გუთური სტილის ეკლესიებს ვხედავთ. კარლშტეინი აგებულია ციცაბო კლდეზე. ციხედარბაზს შემორტყმული აქვს ქონგურებიანი გალავანი თავისი საგუშაგო კოშკებით.

კარლშტეინი XIX საუკუნეში რესტავრირებულ იქნა გარედან, მაგრამ მისი შიდა კედლები და ძვირფასი მხატვრული ხატები და ფრესკები დღემდე ხელუხლებელია.

კარლშტეინიდან პრაღაში გავემგზავრეთ. პრაღიდან ავტობუსით მივდივართ ქვანახშირის და მეტალურგიის ცენტრში — ქალაქ კლადნოში. გზაზე ლიდიცეში შევჩერდით. მეორე იმპერიალისტური ომის დაწყებამდე ლიდიცე ერთ-ერთ ლამაზ სოფელს წარმოადგენდა. ომის პერიოდში გერმანელმა ოკუპანტებმა სოფელ ლიდიცეს ყველა მამაკაცი დახვრიტეს, ქალები და ბავშვები ტყვედ წაიყვანეს, ხოლო სოფელი გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს.

ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ლიდიცეში დაბრუნებულ მცხოვრებლებს სოფლისა და სახლკარის მაგიერ დახვდათ მოსწორებული მიწა და თანამემამულეთა საერთო სასაფლაო. გადამწვარ ლიდიცეს ადგილას ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ახალი სოფელი ლიდიცე აუშენა. ამ სოფლის ბოლოს გახსნილია მუზეუმი, სადაც ინახება დახვრეტილი მცხოვრებლების ნივთები, რომლებიც გათხრების შემდეგ იპოვნეს.

გზაზე ქ. პლზენში შევჩერდით. აქ დავთვალიერეთ ლუდის ქარხანა, რომელსაც დაახლოებით 6 ჰექტარი ტერიტორია უჭირავს. პლზენის ლუდის ქარხანა მთელ მსოფლიოში ცნობილია. იგი უშვებს ორი მარკის ლუდს 12 და 18-გრადუსიანს. ქარხანა ყოველდღიურად 15.000 ბოთლ ლუდს უშვებს.

კარლოვი ვარში საღამოს 6 საათზე ჩავედით. კარლოვი ვარი პატარა ლამაზი ქალაქია. იგი გარშემორტყმულია ტყით დაფარული მთებით და მოგაგონებთ ბორჯომის ხეობას. კარლოვი ვარი თავისი მინერალური წყლებით (სულ 12 წყაროა) მთელ მსოფლიოში ცნობილი კურორტია.

კურორტის ცენტრში მიწიდან ამოხეთქილი ცხელი წყლის (73°) მაღალი შადრევანია. ეს შადრევანი ერთი წუთის განმავლობაში 2.000-ზე მეტ ლიტრ მინერალურ წყალს იძლევა. კარლოვი ვარიდან ყოველწლიურად 4 მილიონ ბოთლი მინერალური წყალი გაიქცა საზღვარგარეთ.

კარლოვი ვარში სამკურნალო დაწესებულებები 106 დიდ შენობაშია მოთავსებული და ავადმყოფების მკურნალობა მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. იმ დღესვე გავემგზავრეთ მეორე შესანიშნავ კურორტ მარიანსკე ლაზნეში.

მარიანსკე ლაზნე მაღლობზეა გაშენებული. ქალაქის ცენტრში დგას საბაზანო შენობა. ცენტრშივეა მინერალური წყარო, რომელიც გემოთი ბორჯომის წყალს წააგავს და სასიამოვნო სასმელია.

12 სექტემბერს პრაღიდან მატარებლით გავემგზავრეთ ბრნოში. სადგურზე გასაცილებლად ჩვენი გიდი ბორის იოსეფის-ძე ჰავლიკი მოვიდა. მას თვალებზე ცრემლი მოადგა. მოხუცმა წამოიწყო სიმღერა „მოსკვა მოია“. მის ხავერდოვან ხმას ჩვენი ტურისტების — პროფესორ ა. გულისაშვილის, ნიკო ხინვილის, ნელი კულიკოვსკაიას, სოლვა ბასმანოვას, სერგო და ვარია კაჭკაჭიშვილების ხმებიც შეუერთდა.

შებინდდა, როცა ბრნოში ჩავედით. ბრნო ჩეხოსლოვაკიის მეორე სამრეწველო ქალაქია. აქ ბევრი ახალი სახლია აშენებული, განსაკუთრებით ქალაქის განაპირა უბნებში. ქალაქი მეტად ლამაზია.

13 სექტემბერს დილით ავტობუსით აუსტერლიცისაკენ გავეშურეთ. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მივადექით ცნობილ აუსტერლიცის მონუმენტს. მონუმენტის კუთხეებში ოთხი არმიის — რუსეთის, საფრანგეთის, ავსტრიისა და მორავიის მებრძოლთა ქანდაკებებია აღმართული. აქვეა პატარა მუზეუმი, სადაც გამოფენილია აუსტერლიცის ბრძოლის გეგმა, ალექსანდრე I-ის, ნაპოლეონ I-ის, ფრანც-ი

საბჭოთა კავშირის დახმარება ინდონეზიის დაზარალებული მოსახლეობისადმი

ჯაკარტა, 21 დეკემბერი. (საკდესი). უკანასკნელ ხანს ინდონეზიის მთელ რიგ რაიონებში მოხდა დიდი წყალდიდობა, რამაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა მოსახლეობას და ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია.

დღეს საბჭოთა კავშირის ელჩმა ინდონეზიაში დ. ა. ეუკოვმა ინახულა პრემიერ-მინისტრი ალი სასტროამიჯოიო და საბჭოთა მთავრობის სახელით თანაგრძნობა განუცხადა იმ სტიქიური უბედურების გამო, რომელიც ინდონეზიას ეწია. ელჩმა აგრეთვე აცნობა სასტროამიჯოიოს, რომ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს წყალდიდობის მსხვერპლთა დახმარების ფონდში შეაქვს 40 ათასი ინდონეზური რუპია.

სასტროამიჯოიომ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობასა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის ხელმძღვანელებს ამ ფულადი დახმარებისთვის.

უნგრეთის დასახმარებლად

ბუდაპეშტი, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც უნგრეთის რადიო იუწყება, მშენებლობის სამინისტროს ცნობით, დღემდე ბუდაპეშტის აღსადგენად მეგობრული ქვეყნებიდან მიღებულია 4.210 ვაგონი საშენი მასალა, აქედან 1.418 ვაგონი ცემენტი, 1.539 ვაგონი ხეტყის მასალები, 584 ვაგონი კირი, 261 ვაგონი აგური, 208 ვაგონი მინა.

ღღეს ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს სამშენებლო ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს იმ საზოგადოებრივი შენობებისა და საცხოვრებელი სახლების აღდგენისა და შეკეთებისათვის, რომლებიც მეამბოხეებთან ბრძოლის დროს დაზიანდა. საავადმყოფოების, სკოლებისა და სხვა საზოგადოებრივ შენობათა დიდ უმრავლესობაში უკვე დამთავრდა პირველი რიგის სარემონტო სამუშაობი.

ამბოხების დღეებში განსაკუთრებით დიდი ზარალი მოუვიდა სავაჭრო ქსელს. ამჟამად საგაჭრო ქსელის ყველა საწარმო წესრიგზე მოჰყავთ. გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებს ბუდაპეშტის უდიდეს უნივერმაღებში — „კორვინში“, „პიონერში“, „ვერეშმარტში“.

სირიის არმიის გენერალური შტაბის უფროსის განცხადება

დამასკო, 21 დეკემბერი. (საკდესი). შეეხო რა სირიაში ამას წინათ აღმოჩენილ შეთქმულებას, სირიის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ნიზამუდინმა დამასკოს არაბულ კლუბში წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა მისი სერიოზული ხასიათი და დასძინა, რომ შეთქმულებას ამზადებდნენ იმპერიალისტური წრეები.

გენერალმა ნიზამუდინმა შემდეგ ამხილა ცილისმწამებლური კამპანია იმპერიალისტებისა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სირიაში თითქოს შეიქმნა საბჭოთა ბაზები და რომ სირიაში შემოღის საბჭოთა იარაღი.

დასასრულ გენერალმა ნიზამუდინმა მაღალი შეფასება მისცა თანამშრომლობას, რომელიც ეგვიპტისა და სირიის არმიებს შორის არსებობს, და აღნიშნა, რომ საჭიროა არაბთა ქვეყნების ერთიანობის შემდგომი განმტკიცება, რომლებიც იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობას.

საბჭოთა კავშირის დახმარება ინდონეზიის დაზარალებული მოსახლეობისადმი

ჯაკარტა, 21 დეკემბერი. (საკდესი). უკანასკნელ ხანს ინდონეზიის მთელ რიგ რაიონებში მოხდა დიდი წყალდიდობა, რამაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა მოსახლეობას და ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია.

დღეს საბჭოთა კავშირის ელჩმა ინდონეზიაში დ. ა. ეუკოვმა ინახულა პრემიერ-მინისტრი ალი სასტროამიჯოიო და საბჭოთა მთავრობის სახელით თანაგრძნობა განუცხადა იმ სტიქიური უბედურების გამო, რომელიც ინდონეზიას ეწია. ელჩმა აგრეთვე აცნობა სასტროამიჯოიოს, რომ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს წყალდიდობის მსხვერპლთა დახმარების ფონდში შეაქვს 40 ათასი ინდონეზური რუპია.

სასტროამიჯოიომ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობასა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის ხელმძღვანელებს ამ ფულადი დახმარებისთვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის სხდომაზე უშიშროების საბჭოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების შემადგენლობის გაფართოების საკითხზე გამართულ დისკუსიაში გამოვიდნენ ეგვიპტის, ლიბერიის, ინდოეთის, ნეპალის, ცეილონის, სირიისა და ეთიოპიის წარმომადგენლები. მათ მოითხოვეს ადგილების უფრო სამართლიანი განაწილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ორგანოებში და, კერძოდ, აზიისა და აფრიკის ქვეყნებისათვის უფრო მეტი ადგილების მიცემა.

ეგვიპტის წარმომადგენელმა მაჰმუდმა განაცხადა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების რეზოლუციის პროექტი დამაკმაყოფილებლად ვერ წყვეტს ამ პრობლემას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი წარმომადგენლობა გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით. მაჰმუდი ამტკიცებდა, რომ მიზანშეწონილია მიღებულ იქნას აზიისა და აფრიკის 16 ქვეყნის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური კომიტეტის შექმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების გაფართოების პრობლემის შესასწავლად.

ლიბერიის დელეგატმა კუპერმა განაცხადა, რომ უკანასკნელ წლებში მსოფლიოში მომხდარი ცვლილებანი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა რიცხვის გაღიდება მოითხოვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების გაფართოებას. ილაპარაკა რა იმაზე, რომ მსოფლიოს ზოგიერთი რაიონი მეტად სუსტად არის წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში, მან, კერძოდ, დაამოწმა ის, რომ, მაგალითად, მეურეოების საბჭოში წარმოდგენილი არ არის აფრიკის კონტინენტი. განაცხადა რა, რომ უშიშროების საბჭოში ადგილები აგრეთვე არ არის განაწილებული გეოგრაფიული პრინციპის სრული გათვალისწინებით, კუპერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაცვლელად საჭირო თანხმობა დიდ სახელმწიფოთა შორის.

კრიშნა მენონმა (ინდოეთი) თქვა, რომ უშიშროების საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებში ადგილების სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების საკითხი გულდასმით უნდა იქნას შესწავლილი. მან ილაპარაკა, რომ აღგილების ამჟამად არსებული განაწილებისას აზიისა და აფრიკის ქვეყნების უფლებები შებღალულია.

ცეილონის დელეგატმა გუნევარდენემ გამოთქვა აზრი, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების რეზოლუციის პროექტი „მუდმივს გახდიდა“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში ადგილების არსებულ უსამართლო განაწილებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების გაფართოების საკითხის განხილვა გაგრძელდება ღღეკანდელ სხდომაზე.

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 21 დეკემბრის დილის პლენარულ სხდომაზე დაიწყო განხილვა საფრანგეთის, ინგლისისა და ისრაელის საჩივრისა იმის გამო, რომ ეგვიპტის მთავრობა თითქოს არღვევს ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ინგლისისა და საფრანგეთის მოქალაქეებისა და ებრაელებისადმი, რომელნიც ეგვიპტეში იმყოფებიან.

ინგლის-საფრანგეთის საჩივრის სრულ უსაფუძვლობაზე ილაპარაკეს სირიის, იორდანიის, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა.

სირიის დელეგატმა ზეინ ედ-დინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აგრესორები იზოლირებული აღმოჩნდნენ. ალბათ ამით აიხსნება მათი დაჟინებითი მისწრაფება ჩამოაშორონ ყურადღება თავიანთ უმსგავსო მოქმედებას. ზეინ ედ-დინმა გააბათილა აგრეთვე საფრანგეთის დელეგაციის მტკიცება, თითქოს სირია „იარაღს აგროვებდეს“ და ამით „ახალი კონფლიქტის საფრთხეს“ ქმნიდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა უოდსვორტმა თავის გამოსვლაში აღიარა, რომ ეგვიპტის მთავრობას აქვს უფლება განახორციელოს ღონისძიებანი თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად, მაგრამ იქვე თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ეგვიპტეს განუცხადა „თავისი შეშფოთება“ იმის გამო, რასაც მან უწოდა ზოგიერთი მოქალაქისადმი „ცუდი მოპყრობა“.

იორდანიის წარმომადგენელმა რიფაიმ მკაფიო სიტყვაში გამოაშკარავა ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ეგრეთწოდებული საჩივრის აზრი. ეს მანევრი, თქვა მან, ინტერვენტი ქვეყნების წარმომადგენლებმა გარკვეული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად განახორციელეს. მაგრამ ახალი განხილვა კიდევ უფრო ამხილებს აგრესორთა დანაშაულობას ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა აგრესორი ქვეყნების საჩივრის უსაფუძვლობა. მარტო ის ფაქტი, რომ ეს, ეგრეთწოდებული საჩივარი შემოიტანეს სახელმწიფოებმა, რომლებმაც ამას წინათ გააჩაღეს აგრესიული ომი ეგვიპტის წინააღმდეგ, ავალებს ასამბლეას სიფხიზლე გამოიჩინოს. ძნელი დასანახავი არ არის, რომ ჩვენ საქმე გვაქვს საეჭვო უმსგავსო თამაშთან, რომელშიც ამ სახელმწიფოებს სურთ ჩაითრიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის, ინგლისისა და ისრაელის ეს საჩივარი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ და მხოლოდ როგორც ამ სახელმწიფოების პირდაპირი ცდა — დაფარონ თავიანთი დანაშაულობანი ეგვიპტისა და ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ, საერთოდ კაცობრიობის წინააღმდეგ.

ეგვიპტის წარმომადგენლებმა, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა, დაამტკიცეს აქ, რომ ეგვიპტის მთავრობას არ დაურღვევია ადამიანის უფლებები, და ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის საჩივარი მოკლებულია საფუძველს. ეგვიპტე მოქმედებს როგორც სუვერენული სახელმწიფო, როცა იცავს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ახლანდელ შემთხვევაში, თქვა მან, მით უფრო არ არის განხილვის საგანი, რადგან ინგლისელი და ფრანგი მოქალაქეებისა და ებრაელების მიმართ ძალადობას არ იყენებენ.

იმადება კითხვა, თქვა შემდეგ კუზნეცოვმა, მაშ რატომ დასჭირდათ ინგლისს, საფრანგეთსა და ისრაელს, რომლებმაც მოაწყეს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, აღეძრათ ეს ხელოვნური საკითხი გენერალურ ასამბლეაში? ხმაური იმის გარშემო, რომ ეგვიპტემ თითქოს დაარღვია ადამიანის უფლებები, უწინარეს ყოვლისა იმისათვის ატეხეს, რომ გზაკვალი დაუბნინონ საზოგადოებრივ აზრს, ჩამოაშორონ მისი ყურადღება იმ ბარბაროსულ ნგრევასა და დანაშაულს, რაც ჩაიდინეს და ახლაც სჩადიან ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარები ეგვიპტეში. შემთხვევითი როდია, რომ ყურადღების აცილების ეს მანევრი აგრესორებს სწორედ ამჟამად დასჭირდათ, როცა მთელი მსოფლიოს წინაშე სულ უფრო სრულად ჩანს ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ მათი დანაშაულობათა საზარელი სურათი.

ვ. ვ. კუზნეცოვმა მოიყვანა მთელი რიგი ახალი ფაქტები ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარების მხეცობის შესახებ ეგვიპტეში და, კერძოდ, აგრესორთა ბარბაროსული ბოროტმოქმედების შესახებ პორტ-საიდში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ არაბ მოსახლეობას დევნიან თვით ისრაელის ტერიტორიაზეც. არაბებს ისრაელში ეპყრობიან როგორც „არასრულფასოვან მოქალაქეებს“, უსპობენ მოქალაქეობრივ და რელიგიურ თავისუფლებას, აწყობენ მიწის საკუთრების ექსპროპრიაციას, დამსჯელ ექსპედიციებს და სხვ.

ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მმართველ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, თქვა შემდეგ ვ. ვ. კუზნეცოვმა, ყოველივე იმის გარდა, რაც თქვა, კიდევ ერთ უმსგავსო მიზანს ისახავს. როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაგმო ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესია და მოითხოვა მათი ჯარების გაყვანა ეგვიპტიდან. მაგრამ ამ სახელმწიფოთა ჯარები ჯერ კიდევ არ არის გაყვანილი მთლიანად ეგვიპტის ტერიტორიიდან და აგრესორები ეძებენ სხვადასხვა საბაბს, რათა გაჯიანურონ თავიანთი ჯარების ყოფნა ეგვიპტეში, უხეშად არღვევენ გენერალური ასამბლეის ერთსულოვნად მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ინგლისისა და საფრანგეთის ცდებს — დატოვონ თავიანთი ჯარების ნაწილი სუეცის არხის ზონაში ამ საბაბით, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ არხის გაწმენდაში. პრესა იუწყება, რომ ისრაელის მთავრობას განზრახული აქვს ყოველწარიად გაჯიანუროს თავისი ჯარების ევაკუაცია ეგვიპტის ტერიტორიიდან, და კერძოდ, არ აპირებს გაიყვანოს ისინი ღაზიდან. ცდება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თავს მოაბეზეთ ამ საჩივრის განხილვა, მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ინგლისს, საფრანგეთსა და ისრაელს ჯერაც არ აუღიათ ხელი თავიანთ აგრესიულ მისწრაფებებზე ეგვიპტის მიმართ.

გენერალური ასამბლეა, განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, გეკრეს ვერ აუვლის ამ საგანგაშო გარემოებას. სანამ ინგლისს, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარები მთლიანად არ გაუყვანიათ ეგვიპტის ტერიტორიიდან, არ შეიძლება ითქვას, რომ ამ სახელმწიფოებმა შეწყვიტეს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. გენერალური ასამბლეის ამოცანა ამჟამად ის არის, რომ მიაღწიოს აგრესიის დაუყოვნებლივ და სრულ შეწყვეტას ეგვიპტის წინააღმდეგ და სსსრ-ფო ღონისძიებათა განხორციელებას ამ აგრესიის შედეგების აღმოსაფხვრელად. შეუწყნარებელია, რომ აგრესორებმა, რომლებიც ცდილობენ გამოვიდნენ თავიანთი მსხვერპლის ბრალმდებელთა როლში, შეძლონ გენერალური ასამბლეის ყურადღება ჩამოაშორონ ამ ძირითად ამოცანას.

საბჭოთა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანიის ინიციატორები — ინგლისი და საფრანგეთი არღვევენ ადამიანის უფლებებს მთელ რიგ ქვეყნებში, რომელთა ხალხებიც თავდადებით იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. როგორც მაგალითები, მან მოიყვანა ის, რომ ინგლისელი იმპერიალისტები ახშობენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კვიპროსზე, მალაიაში, კენიასა და ინგლისის სხვა კოლონიებში, მოიყვანა ომი, რომელსაც საფრანგეთის იმპერიალისტები ალჟირში აწარმოებენ.

გენერალურმა ასამბლეამ, თქვა დასასრულ ვ. ვ. კუზნეცოვმა, გადაჭრით უნდა უარყოს საფრანგეთის, ინგლისისა და ისრაელის დაუსაბუთებელი საჩივარი, რომელიც არის ეგვიპტის სუბიექტ საქმეებში ჩარევის ახალი ცდა. საჭიროა მოვითხოვოთ, რომ დაუყოვნებლივ გაიყვანონ აგრესორთა მთელი ჯარები ეგვიპტიდან და შეწყვეტ ბოროტმოქმედება მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ეგვიპტეს აგრესორთა ხარჯზე აუნაზღაურონ მიყენებული ზარალი. არ უნდა დაუშვათ, რომ აგრესიის ინიციატორები გახდნენ ბრალმდებლები, ხოლო აგრესიის მსხვერპლნი — ბრალდებულები.

სოხუმის არტელ „ბავშვთა სამყაროს“ ერთ-ერთი საამქრო ამზადებს ნაძვისხის სათამაშოებს. საამქრომ წლის ბოლომდე ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა გამოუშვას. სურათზე: საამქროს გამგე თ. აკიძა (მარჯვნივ) და მოწინავე მუშა ა. ოქროუზიანი ათვალიერებენ გამოშვებულ პროდუქციას.

ფოტო გ. კვირკველიასი.

დამთავრდა ქალთა სპარტაკიადა

თბილისში დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ქალთა სპარტაკიადა. ეს შეჯიბრება ტრადიციულ ასპარეზობად გადაიქცა. იგი მეექვსეჯერ მოეწყო.

შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს უმაღლეს სასწავლებელთა, სასპორტო საზოგადოებათა და უწყებათა სპორტსმენმა ქალებმა. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და სპორტის სხვა სახეობანი.

სპარტაკიადაში მონაწილე გუნდები გაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის, სადაც ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა სპორტსმენ ქალთა 7 კოლექტივი, პირველი ადგილი დაიკავა „დინამოს“ გუნდმა.

უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს შორის პირველი ჯგუფის („ა“ ქვეჯგუფი) ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენთა კოლექტივი, რომელმაც სპორტის 8 სახეობაში პირველი ადგილი დაიკავა.

პირველი ჯგუფის („ბ“ ქვეჯგუფში მონაწილე გუნდებს შორის გაიმარჯვა უცხო ენების ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივმა.

საიუბილეო საღამო

ორშაბათს, 24 დეკემბერს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში აწყობს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებლის **მარო თარხნიშვილის** დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოს.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემთხვევა მატარებელში

ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისი-ბათუმის სამგზავრო მატარებელში მოხდა ასეთი შემთხვევა: როდესაც მატარებელი მცხეთიდან ყსანისაკენ გავიდა, ერთ-ერთ ვაგონში ბილეთების გასასინჯად შესულმა რევიზორებმა ა. ცქიტიშვილმა და გ. ქურციკიძემ შენიშნეს, რომ უცნობ მგზავრს, რომელიც მ. ჩიხლაძე აღმოჩნდა, ორი ბოროტმოქმედი ძარცვავდა. დაინახეს თუ არა ეს, რევიზორებმა გავლისას ბოროტმოქმედებს მოულოდნელად სტაცეს ხელი, შეაგდეს გამცილებლის კუპეში და დაუყოვნებლივ განაიარაღეს.

ბოროტმოქმედნი, რომლებიც რევოლვერებით იყვნენ შეიარაღებულნი, აღმოჩნდნენ კონსტანტინე ბახტაძე და შალვა კობახიძე. რევიზორებმა ისინი მილიციის ორგანოებს გადასცეს.

ი. ახვლედიანი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

1948 წლის 2%-იანი სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-18 ტირაჟის, რომელიც გაიმართა 1956 წლის 16 დეკემბერს ქალაქ დონის როსტოვში.

მოგება ხვდა სესხის მომგებიანი გამოშვების ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს.

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000092	1—50	400	024239	1—50	400
000330	36*)	5.000	024249	1—50	400
000365	02*)	10.000	024326	49*)	5.000
000583	07*)	10.000	024389	48*)	10.000
000953	1—50	400	024568	31*)	5.000
001014	1—50	400	024652	38*)	25.000
001084	47*)	5.000	024664	1—50	400
001112	1—50	400	024927	1—50	400
001471	1—50	1.000	024932	1—50	400
002108	44*)	25.000	025079	1—50	400
002399	34*)	5.000	025108	1—50	400
002453	18*)	5.000	025516	1—50	1.000
002485	1—50	400	025527	1—50	400
002537	1—50	400	025660	1—50	400
002953	1—50	400	026370	1—50	400
003180	37*)	5.000	026786	1—50	400
003206	1—50	400	026919	1—50	400
003358	1—50	400	027783	1—50	400
003754	1—50	400	027795	1—50	400
004041	1—50	400	028177	12*)	10.000
004403	1—50	400	028377	1—50	400
004502	1—50	400	028834	09*)	5.000
004516	1—50	400	028860	1—50	400
004765	1—50	400	029032	1—50	400
004767	41*)	10.000	029054	46*)	5.000
005131	1—50	400	029288	40*)	5.000
005538	33*)	5.000	029487	1—50	400
005670	1—50	400	029529	1—50	400
005703	1—50	400	029591	1—50	400
006292	03*)	10.000	029809	36*)	25.000
006333	37*)	10.000	029919	1—50	400
006377	30*)	5.000	029990	1—50	400
006661	15*)	25.000	030040	37*)	5.000
006766	1—50	400	030101	20*)	10.000
006925	04*)	10.000	030114	1—50	400
007489	41*)	10.000	030352	01*)	5.000
007715	1—50	400	030592	03*)	10.000
008013	1—50	400	031391	1—50	400
008127	1—50	1.000	031660	1—50	400
008749	1—50	400	031732	1—50	400
008779	19*)	5.000	032000	10*)	5.000
009066	1—50	400	033001	1—50	400
009243	1—50	400	033047	1—50	400
009817	1—50	400	033090	1—50	400
009871	1—50	400	033117	1—50	400
009705	03*)	10.000	033411	1—50	400
009861	1—50	400	033419	1—50	400
009873	1—50	400	033537	1—50	400
009951	1—50	400	034047	16*)	5.000
010522	1—50	400	034354	21*)	5.000
010587	1—50	400	034498	1—50	400
010591	1—50	400	034785	1—50	400
010662	49*)	10.000	034851	1—50	400
010779	1—50	400	034863	1—50	400
011125	48*)	5.000	035075	09*)	5.000
011251	09*)	5.000	035109	1—50	400
011469	40*)	5.000	035117	1—50	400
011479	1—50	400	035141	40*)	5.000
011707	1—50	400	035211	10*)	5.000
012059	1—50	400	035398	1—50	400
012210	1—50	400	035518	44*)	5.000
012630	1—50	400	035638	1—50	400
012689	03*)	5.000	035797	1—50	400
012906	14*)	10.000	035905	48*)	50.000
013326	1—50	400	036150	1—50	400
013506	1—50	1.000	036472	1—50	1.000
013587	1—50	400	036709	1—50	400
013646	1—50	400	037032	1—50	400
013942	1—50	400	037528	1—50	400
013979	1—50	400	037568	09*)	5.000
014446	1—50	400	038406	11*)	10.000
014646	1—50	400	038484	1—50	400
015029	15*)	5.000	038656	24*)	5.000
015327	34*)	5.000	039052	18*)	25.000
015396	06*)	5.000	039242	18*)	10.000
015424	23*)	25.000	039461	1—50	400
015588	1—50	400	039773	03*)	10.000
015723	1—50	400	039848	1—50	1.000
015879	1—50	1.000	039884	13*)	5.000
016223	1—50	1.000	040397	1—50	400
016533	18*)	5.000	040758	28*)	5.000
016681	1—50	400	040901	06*)	10.000
016906	1—50	400	041322	02*)	5.000
017235	1—50	400	041516	32*)	5.000
017349	25*)	10.000	041535	1—50	400
017682	1—50	400	041732	1—50	400
017749	31*)	10.000	041818	1—50	400
017942	04*)	25.000	042001	1—50	400
018044	1—50	400	042326	1—50	400
018663	1—50	400	042427	24*)	5.000
019250	1—50	400	042608	06*)	5.000
019942	1—50	400	042619	34*)	5.000
020100	40*)	10.000	042668	1—50	400
020142	25*)	25.000	042873	1—50	400
020289	1—50	400	042928	1—50	400
020465	1—50	1.000	043302	1—50	400
020487	39*)	5.000	043746	1—50	400
020511	1—50	400	043791	1—50	400
020936	1—50	1.000	043956	27*)	5.000
021051	1—50	400	044662	35*)	10.000
021133	1—50	400	045016	25*)	50.000
021241	1—50	400	045503	46*)	10.000
021787	1—50	400	045992	1—50	400
021839	1—50	400	045998	1—50	400
021927	1—50	400	046130	21*)	5.000
021930	02*)	5.000	046543	42*)	25.000
021983	1—50	400	046670	1—50	400
022128	1—50	400	046708	1—50	400
022185	18*)	10.000	046816	1—50	400
022265	1—50	400	047042	07*)	10.000
022459	1—50	400	047199	1—50	400
022775	1—50	400	047388	1—50	400
023029	1—50	400	047428	13*)	5.000
023254	1—50	400	047772	1—50	400
023369	1—50	400	047987	1—50	400
023481	05*)	5.000	048348	1—50	400
023594	1—50	400	048616	1—50	400
023632	1—50	400	048690	1—50	400
023661	1—50	400	049014	1—50	400
023786	13*)	5.000	049085	1—50	400
023802	10*)	5.000	049108	1—50	400
023993	1—50	400	049131	31*)	5.000
024102	24*)	5.000	049145	37*)	25.000
024125	1—50	400	049367	1—50	400
024132	1—50	400	049632	06*)	5.000
024235	1—50	400			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — როსტოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. ბასოვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ე. ჯ. ლეპენდინი.

პამირის მწვერვალთა დამპყრობნი ეკრანზე





პამირის მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები. ბუმბერაზი მთები, ღრმა უფსკრულები, ციცაბო კლდეები. რა ძლიერი ნებისყოფა, გამბედაობა და გამარჯვების რწმენა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამ მიუვალ მწვერვალებზე ასვლა განიზრახოს. მაგრამ ამ დაბრკოლებებმა ვერ შეაშინა ქართველი ალპინისტები, რომლებსაც ალპინიზმის ისტორიაში არა ერთი გმირული ფურცელი ჩაუწერიათ.

და აი საქართველოს ალპური კლუბის ალპინისტთა ჯგუფი კვლავ ეწვია პამირის მთებს. ამჟამად ისინი უნდა ავიდნენ მოსკოვის პიკზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 6.785 მეტრია და რომლის მწვერვალზე ჯერ ადამიანს ფეხი არ დაუდგამს.

ამ ლაშქრობის შესახებ მოუთხრობს მაყურებელს თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი დოკუმენტალური ფერადი ფილმი „კიდევ ერთი იერიში პამირზე“ (რეჟისორი შ. ხომერიკი, სცენარის ავტორები ექსპედიციის ხელმძღვანელი ო. გოგინეიშვილი და ბ. კრეპსი, ტექსტი რ. ქორქიასი).

ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან მთის ბუნების წარმტაცი სურათები — ფერდობებზე შეფენილი წითლად მოხასხასე ყვავილები, ლამაზი ტყეები, აზვირთებული მდინარე სურხობი, რომელიც შეუპოვრად ეხეთქება ნაპირებს და მოაგორებს უშველებელ ლოდებს. მაგრამ ამჟამად ეს ლამაზი სურათები არ იტაცებს ალპინისტებს, მათ რადაც უნდა დაუჯდეთ უნდა გადალახონ